საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პატიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. სამი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კანტორა ღია 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კანტორა დაკეტილია.
კანტორის ტელეფ. 15—73.

წელიწადი მეექვსე | შაბათი. თებერვლის 7 1920 წ. № 27 | ფასი 4 მან.

ქართული კლუბი

კვირას, თებერვლის 8-ს, დილის 11 საათზე ს.ქ. ეროვნ. დემოკრატ სტუდენტთა და ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტი ჰმართავს **საჯაროლექციას კაკათით**

მოწვეულნი იქნებიან ყველა პარტიის წარმომადგენელნი.

ფილოსოფიის დოქტორი **ტიტე მარგველაშვილი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„მეცნიერული სოციალიზმი და ევროპის ეკონომიური ვითარება“

მთავარი თეზისი: „ეკონომიური ვითარება სოციალიზმისკენ არ მიისწრაფის“. ბილეთები იყიდება: სტუდენტთა სასადილოში, „საქართველოს“ კონტორაში და სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფასი 50 მ.—10 მ. 2—3—2

საქართ. საკრედ. ტო დაწესებულებათა საბჭოსა და ვაჭარ-მრეწველთა თაოსნობით და ფ. ნ. მ ნისტრის თაოსნობით, ქ. თბილისში არსდება

საქართველოს ცენტრალური საკაჭრო-სამრეწველო ბანკი ცენტრობანკი

რომლის ძირითადი თანხა არის 20,000,000 მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯის დასაფარავად შემოტანილ უნდა იქმნეს 50 მან., ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 20 აქცია. ამ თავითვე შემოტანილი უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება— 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისაოვის სულ 50 მან., ესე იგი თითო აქციაზე 550 მან.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა მთელს საქართველოში დანიშნულია: 17-ს სამშაბათს, 18 ს ოთხშაბათს. 19-ს, ხუთშაბათს და 20 პარასკევს, ამა თებერვალს:
თბილისში, სამეურნეო ბანკში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან, პ. ა. გოთუასთან.
ინგლისის ფირმის „კოსმოს-ლიმიტედის“ კანტორაში, საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, გრიგოლ გიორგის ძე ბერიძესთან, (ბარონის ქ. № 15).
ცენტრობანკის ბინაზე, (პუშკინის ქ. № 3), საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზთან.
ქუთაისში: საურთიერთო ნდობის ბანკში, პავლე უზნაძესთან და სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ვარლამ ჭილაძესთან.
ბათომში: საურთიერთო ნდობის ბანკში, ნიკოლოზ საბაშვილთან და მათე რუსიძესთან.
ხოხუმში: საურთიერთო ნდობის ბანკში, პლატონ გელოვანთან და ჯოტო შერვაშიძესთან.
სოხუმში: საურთიერთო ნდობის ბანკში, კოტე ტყავაძესთან.
ფოთში, თელავში, გორში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში და ჭიათურაში ადგილობრივ საურთიერთო ბანკებში; სიღნაღის კოოპერატივთა კავშირში, ახალ მევენახეთა კავშირთა-კავშირში და საქართველოს ყველა საკრედიტო და შენახვით გამსესხებელ ამხანაგობებში (ამ დაწესებულებათა სამგეობებში).
აქციონერთა პირველი საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 29 ამა თებერვალს, თბილისში, ცენტრობანკის ბინაზე.

ცენტრობანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი.

თბილისი, პუშკინის ქ. № 3 (თავისუფლების მოედანს პირდაპირ) ტელეფონი № 3 46. დეპეშისათვის—თბილისი—ცენტრობანკი. 10 1—1

ელენე იოსების ასულის ნულუკიძისა

იოსებ იულონის ძე დადიანი, მ უღლითურთ თამარა გრიგოლის ასული და ილია ილიას ძე დადიანი გულითადი მუხარებით აუწყებენ ნაცნობ და ნათესავთ ქუთაისში გარდაცვალებას პირველის და, მეორესი მული და მესამესი დეიდა

ელენე იოსების ასულის ნულუკიძისა

დაკრძალვა კვირას თებერვლის 8-ს ნეშტის გადასვენება საკუთარ სახლიდან (ივანოვის ქუჩა) დილის 10 საათ. წირვა ქუთაისის კათედრალურ ტაძარში. 2811 2—1

ვლადიმერ ალექსის ძე ჟორჟოლიანი და მისი მეუღლე ეკატერინე ილიას ასულისა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფას და საყვარელ დედის

ელენე იოსების ასულის ნულუკიძის

გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. დაკრძალვა კვირას თებერვლის 8-ს თავის საკუთარ სახლიდან (ივანოვის ქ) წირვა ქუთაისის კათედრალურ ტაძარში. 2812 2—1

ვლადიმერ გრიგოლის ძე წულუკიძე და მისი მეუღლე ევგენია იოსების ასული აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფას დეიდის

ელენე იოსების ასულის ნულუკიძის

გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. დაკრძალვა კვირას თებერვლის 8-ს ნეშტის გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ივანოვის ქ.) დილის 10 საათ. ქუთაისის კათედრალურ ტაძარში. 2813 2—1

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო აუწყებს თავის წევრთა და საზოგადოებას, რომ კვირას თებერვლის 8-ს გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მსახიობ

ვალერიან ფალიკ ფვილისა.

პანაშვიდი დაიწყება შაბათის 12 საათზე. 9 1—2

გაიხსენე იოსების ასული ეპიტაშვილისა შვილებით და ძლით, დაი სოფიო პეტრე ეპიტაშვილის ასული, ძმა დიმიტრი პეტრეს ძე მეუღლით შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

ფოვდლის ალექსი ეპიტაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, თებერვლის 8-ს ქაშვეთის ს.ბ. გიორგის ეკლესიაში. 2815 1—1

ძარიამ გრიგოლის ასული სიმონიანი, ოლღა იოსების ასული დავითაშვილისა შვილებითურთ, ოლღა იოსების ასული დავითაშვილისა შვილებითურთ და ლეკანოზი იაკობ გრიგორის ძე ტატიშვილი ცოლით და შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საყვარელ პირველის ქმრის, მეორეს ძმის და უკანასკნელთა სიძის, მამის და მეექვე ქალთა გიორგის საღამოო ხელოვნის მასწავლებლის, სიმონის ტ.ძრის კანდიდატის

დავ. ალექსანდრე სიმონიშვილ ს

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, კვირას თებერვლის 8-ს, სიმონის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, დასაწყისი წირვისა 10 საათზე, პანაშვიდი 11 ს. 2811 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ანასტასია ალექსანდრეს ასული, სიმონ ილიას ძე მაჩაბლები და მეუღლე მარიამ გრიგორის ასული მაჩაბლისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 8 თებერვალს გადახდილი იქნება ქაშვეთის ტაძარში წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ახალციხის ომში მოკლულ

ალექსანდრე (ტუპა) სიმონის ძე მაჩაბლის.

2810 1—1

კინო პალასი

გრანდიოზული დადგმა ახლახანს მიღებული ამერიკულ ფირმებიდან

მძულვარების სახლი

მთავარ როლში ამერიკელი კინო-მსახიობი **პირლი ჯაიტი,** რომელიც ძალითა და სილამაზით აჯადოებს საზოგადოებას. დღეს ეპიზოდები: 1, 2, 3, (ხანად) „ქორი და მტრედი“ და „მძულვარება და იმედი“.

ედემი

კინემატოგრაფიულ ხელოვნების შედევრი. საგანგებო, მხატვრული, ახლახანს საზღვარ-გარეთიდან მიღებული.

ნაუღლაკა

კინო-დრამა 6 ნაწილად კიფლანგის რომანით.

ინდოეთის ფონი. ცხოვრება და ინტრიგები რაჯი გენერალის ჰარამხანაში. უჩვეულო სილამაზე დადგმისა. მოციკვე ქალის **დარიანდის** მონაწილეობით.

მუსიკ. ილუსტრ. **ნ. ხუდიაკოვისა**

ედემი კინო-თეატრი ოლღას ქუჩა № 3.

ვერა ხოლოდნაიას

მონაწილეობით

ზრა

კინოდრამა 6 ნაწილად.

მთავარ როლებში

ო. რუჩინი და ვ. გარათოვი.

ჩარდენინის დადგმა.

გამოცემა რუსულ ატელიე დ. ი. ხარიტონოვის.

ანონსი: პარასკევიდან ახლახან საზღვარგარეთიდან მიღებული სურათი ემილ ზოლას მოთხრობიდან.

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი მინადორა (ნიდო) ვაოლამის ასული გელოვანისა, მამები: ლადიკო, ჭიჭიკო, მიშა, სიმონ, შალიკო, ბარდღა, დები: ლუბა, მარუსია, საშიკო, ოლია, რძლები: ცაცა, ჭუტუ და გოგუცა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

გრიგოლ (კუკულია) ალექსანდრეს კე გელოვანის

ცხედარს გამოსამშვიდობებენ ქ. ბაქოდან ქუთაისს, რომლის შესვენება მოხდება ქუთაისის სადგურზე 7 თებერვალს დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება 8 თებერვალს დღითი კვირას 12 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე. 214 1—1

ქართული კლუბი

შაბათს 7 თებერვალს

საჯარო საღამო

წარმოდგენილი იქნება:

ნ. შიუკაშვილის

სულელი

3 მოქ.

ეს პიესა ძველი რეჟიმის დროს აკრძალული იყო

უმთავრეს როლებს შეასრულებენ:
ქ-ნი ვ. ანჯაფარიძე
ბ-ნი ვ. ჭიაურელი

მონაწილეობენ:
ქ. ქ. ვ. ანჯაფარიძე, ა. ჭიქოძე, ე. ციმაკურიძე, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ა. ვასაძე, მ. სარაფული, დ. ძნელაძე, შ. ღამბაშიძე, ჩხეიძე, მ. ჭიაურელი.
დადგმული იქნება მ. ჭორელის მიზან სცენებით.
დასაწყისი 9 საათზე | კლუბში შესვლა საზოგადო წესით

სახელმწიფო თეატრი

ივლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, თებერვლის 6 ს

ჩერჩეიჩკი

ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

შაბათს თებერვლის 7-ს

პირველი ქართული საღამო

ქართველ მწერალთა საბჭოს თავმჯდომარის ქ. ზ. მაყაშვილისა.

გრანდიოზული პროგრამა

კონფერანსიე??

საღამო დაიწყება ღამის 10 ს.

მაგიდების შეკვრა წინადვე შეიძლება. კვირას თებერვლის 8 ს მეორე ქართული საღამო.

მიხეილის

ალკრე

პლეხანოვის ქუჩა, 91.

პარასკევს თებერვლის 6-დან მიდის მე 2-ე სერია დრამის

გამოქცეული კასტროლელი

5 ნაწილად.

ე. მ. ნაზუხინის რომანით.

მთავარ როლებში **ვ. ვ. მანილოვი.** მსახ. სახელმწ. თეატრისა.
დასასრულ კომიკური. ყოველდღე სიმფონიური ორკესტრი.
დასაწყისი 5 ნახ. საათ.

ცირკი „პრისტენს“

ვერის დილმართზე ტელეფ. 5—62.

შაბათს თებერვლის 7- 1920 წ. გაიმართება

„ჩვენი ქალაქი“

ა. მატოვი

37-დღე საერთაშორისო ფრანგული მოჭიდავე ჩემპიონების. პრემია 30000 მან.
ჭიდაობა— რევანში სტარ ოშვილის გამოწვევით
სტარ ოშვილი—ნეიზვესტნის შემდეგ იჭიდავებენ **ა. ტენნიკა** და **ძალა**
ჭიდაობა 10 ნახ. ს.

ტენნიკა — **ალი.**
ალი — **ტენნიკა**
ალი — **ალი**

ალი — **ალი**

ალი — **ალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს:

ბოლშევიკები სასტიკ შეტევას აწარმოებენ.

კლემანსო ეგვიპტეში გაემგზავრა.

ელჩთა კონფერენციამ გადასწყვიტა ახალ ლონისძიებათა მიღება რათა ჰოლანდიამ ექს-კაიზერი გასცეს.

წერილები:

მეთაური—ჩიჩერინის ნოტის გამო.

გ. გ ზიანი—საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც ვექილთა დამფუძნებელ ყრილობის გამო.

პრესა.

„წითელი საფრთხე".

ტ. მარგველაშვილი.—მარცვლეულობის საკითხი საქართველოში.

ვექილ

სასყიდლად აგარაკ წაღვერში, ადგილობრივ კუჩხობში სახლს 3-4 თვიდამდე, გამყიდველთ ვთხოვ მომმართონ: ახალციხეში თეოფილე ძვალაიას

ჩიჩერინის ნოტის გამო

გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის—ბ-ნი ჩიჩერინის ნოტა, რომელიც მიმართულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ-ნი გეგეჭკორის სახელზე. ამ საპასუხო ნოტაში სახალხო კომისარი ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთი მეზობელ ერებისადმი კეთილად არის განწყობილი და რომ იმ ომს, რომელსაც იგი აწარმოებს, მარტოდ მარტო თავდაცვის ხასიათი აქვს. ამასთანავე ბ-ნი ჩიჩერინი აღნიშნავს „წინაალმდეგობას" ჩვენი მთავრობის სიტყვასა და მოქმედებას შორის, საბჭოთა რუსეთის მიმართ; ბრალსა გვდებს თითქოს საქართველოს მთავრობა ხელს უწყობდეს მოკავშირეთა გამოლაშქრებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, და ამ მიზნით საქართველო მათთვის სამოქმედო ბაზად მიეთავაზოს.

ჩვენ მთავრობის წრეებთან ახლოს არ ვდგევართ და არც გვაქვს საშუალება ყოველი მისი ნაბიჯი ვიცოდეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში შეგვიძლია კატეგორიულად განვაცხადოთ რომ ბ-ნი ჩიჩერინის ბრალდება ყოველ საფუძველს მოკლებულია. საქართველომ დამოუკიდებლობის აკტშივე აშკარა ჰყო თავისი საერთაშორისო პოზიცია სახელმწიფოებისადმი დამოკიდებულობაში. ამ დიდებულის აკტით საქართველომ თავისი თავი ნეიტრალურად გამოაცხადა; მას შემდეგ საქართველოს არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა როგორც სიტყვით, ისე საქმით დაემტკიცებია თავისი ნეიტრალური პოლიტიკა. სწორედ ამავე პრინციპის ძალით უარი ეთქვა საბჭოთა რუსეთის მთავრობას საქართველოს მხრივ დახმარებაზე დენიკინის წინააღმდეგ.

საქართველოს მომავალი კონსტიტუციის პროეკტშიაც შეტანილია საქართველოს ნეიტრალობის პრინციპი. ნეიტრალობის პრინციპი უკვე შეთვისებული ხასიათია ჩვენი საგარეო პოლიტიკისა.

მთავრობა, რომელიც ამას გადალახავდეს და ქართველ ხალხს აგრესიულ სამხედრო მოქმედებაში ჩააბამდეს, საქართველოში ერთ დღეს ვერ იცოცხლებს. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ შეიძლება ამაში დარწმუნებული არ იყო. საქართველოს არ აქვს ავანტიურისტული ზრახვები და მისი სხეულის ოდნობა მას იმპერიალისტურ მოქმედებაზე ვერ წაიქეზებს. ამ მხრივ ნათელია ჩვენი პოზიცია. ჩვენ არც წითელი რუსეთის დახმარება შეგვიძლია ჩვენ წინააღმდეგ და არც მწვანე რუსეთისა,—ერთად წითელისა და შავის წინააღმდეგ. მოკლეთ,—რუსეთის საქმეში ჩვენ არ ვერევით. მაგრამ ამის და მიუხედავათ ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ ჩვენი სამხედრო ძლიერების შექმნისა და განმტკიცებისათვის ზრუნვაზე. პირიქით, ჩვენი ნაციონალური ენერგიის მეტი წილი სწორედ ამას უნდა მოვანდომოთ. მართლაც, დღემდე ვერც ერთი ფერი რუსეთისგან, ჩვენ ვერ მივიღეთ კეთილ-განწყობილი მოპყრობა. ყველა ამხედრებულია და ჩვენზე კბილებს ილესავს. ასეთი მუქარით გვეკლიბოდა დენიკინი, რომელთან მთელი წლის განმავლობაში აკტიური სომარი განწყობილება გვქონდა საბჭოთა რუსეთმაც, თავის კეთილ-განწყობილებაში სიტყვითა და ნოტებით გვარწმუნებენ მისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, დღემდე არ ინება ეცნო საქართველოს სუვერენობა. პირიქით ამ რუსეთის აგენტები მოღალატურად და ბურდულად შემოდიან ჩვენს სახელმწიფოში და აჯანყებას გვიწყობენ ჩვენი რესპუბლიკის დასამხობად. მთელი ამ ორი წლის ურთიერთობის განმავლობაში საბჭოთა რუსეთისაგან ჩვენ არ გვინახავს ჩვენი დამოუკიდებლობის შეწყნარების არც ერთი აქტი და მაგალითი. საბჭოთა რუსეთი მარტო მტრობას ამჟღავნებდა ჩვენდამი ბ ამფეთქებელ ექსპედიციებს ზედიზედ ერთი-მეორეზე გვიგზავნიდა. ჩვენი მხრიდან არ ყოფილა არც ერთი აქტი მტრობისა—ვინაიდან ჩვენ მტკიცედ ვიდექით ნეიტრალობის პოზიციაზე: თავს არავის ვესხმოდით. ჩვენ გვაქვს საბუთი არ ვიწამოთ ჩიჩერინის დღევანდელი თეთრი კბილები.

ჩვენი პოზიცია დარჩება ისეთივე, როგორიც იყო: აგრესიობას არავის წინააღმდეგ არ ვაწარმოებთ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას და ჩვენს ტერიტორიას და რადგან ერთსაც და მეორეს რუსეთის არც ერთ ფერში გულწრფელი მეგობარი არ გამოუჩნდა, ამიტომ ჩვენ გვმართებს ჩვენი ყველა თავდაცვითი საშუალების მაქსიმალური გაძლიერება - ამ მიზნით უნდა გამოყენებულ იქნას ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობა და ჩვენი ქვეყნის მატერიული რესურსები. დამოუკიდებელ სახელმწიფოს ამის უფლება აქვს; ხოლო მის მთავრობას თავს აწევს ამის შესრულების მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ამ მიმართულებით მნე მუშაობა ნურც საბჭოთა რუსეთს გააკვირვებს და ნურც სხვას.

საქართ. რესპუბლიკის ნაფიც ვექილთა დამფუძნებელ ყრილობის გამო

დღეს უნდა გაიხსნას საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც ვექილთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა.

ეს დღე პირველია საქართველოს მატიანეში. საქართველოს, სპეციალურად სწავლით აღჭურვილი ვექილთა კორპორაცია არ ჰყოლია; დღეს საქართველო 120 წლის შემდეგ მკვდრეთით აღმსდგარი, მსოფლიო კულტურულ სახელმწიფოთა რიგში ჩადგა და სხვებთან ერთად თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთო პროგრესში.

ყოველ სახელმწიფოს კულტურის დამახასიათებელია მისი სჯულმდებლობა. როგორიცაა ერის კულტურა, ისეთივეა მისი სჯულმდებლობა; სჯულმდებლობაა გამომხატველი მისი უმაღლესი კულტურული ცხოვრების ალღოსი. ისაა გამომხატველი მისი შემოქმედებითი ნიჭისა მოქალაქობრივ ცხოვრების კულტურულ ურთიერთობის დამყარებაში და სახელმწიფოს მართვა გამგებლობაში. ერთის სიტყვით, სჯულმდებლობა ყველაზე დიდი მეტყველია ერის წარსული და აწმყოს კულტურისა და მისი სასიცოცხლო ალღოსი.

როგორც სჯულმდებლობაში, ნამეტნავად მისი კანონების ცხოვრებაში გატარების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაფიც ვექილთ. ნაფიცი ვექილნი არიან უახლოესი მომქმედნი სახელმწიფოს მართლმსაჯულებაში. ისინი არიან უპირველესი მოწმენი იმისი, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ესა თუ ის კანონი. ვექილნი ყველაზედ ადრე და ყველაზედ უმწვავესად გრძნობენ ამა თუ იმ კანონის ღირსებას უვარგისობას. ვექილნი გრძნობიარე მაგნიტის ისრის წვერნი არიან, რომელნიც სცოცხლობენ და მოძრაობენ კანონის ცხოველმყოფელი თუ მომაკვდინებელი ნაპერწკლით.

მთელ მსოფლიოში ყოველ კულტურულ სახელმწიფოში ვექილთა კორპორაცია არის ბარომეტრი კანონის ცვალებადობის წამის მიმწოფების.

ჩვენს თვალწინ განვლო რუსეთის რევოლიუციამ და ყველამ იცის, თუ რა დიდი როლი ითამაშა რუსეთის ცხოვრებაში ვექილობამ. ასეთივე თუ უმეტესი არა მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ საფრანგეთის ცხოვრების გარდაქმნის დროს ვექილებს. ყველგან პოლიტიკურ თუ სოციალურ გარდაქმნაში ვექილებს უპირველესი ადგილი სჭერიათ და უნდა ეჭიროთ. ეს ასე უნდა იყვეს იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც ვექილი იმყოფება. ის ხედავს ყველაზე ადრე და ყველაზე უბრალოდ ყოველ ნაკლს კანონისას და იმის აღსრულებისას. კიდევ მეტს ვიტყვი, ის თვით განიცდის სიამეს თუ ტკივილებს კანონის ცხოვრებაში გატარებისას. უკანონობის დროს ამ ტკივილებმა უნდა აალაპარაკოს იგი. მან პირველმა უნდა აღიმაღლოს ხმა ქვეყნის უბედურად მართვის დროს, თუნდაც იმიტომ, რომ მას პირველ ეხება კანონის და მისი აღსრულების სამართალი. ამ ნაირად თავის მდგომარეობითვე ვექილი დარაჯია სახელმწიფოს კანონიერ ცხოვრებისა. ის დამოუკიდებელი, თავისუფალი ტრიბუნია სახელმწიფოებრივ და მოქალაქობრივ ცხოვრების დაფასებაში.

ჩვენს ვექილებს, თუმცა შორეული წარსული არა აქვთ: უხუცესნი მათგანი დღესაც ჯანმრთელნი არიან, მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ ყოველ სახელმწიფოებრივ თუ მოქალაქობრივ ცხოვრებაში უკანონობის წინააღმდეგ მუდამ მედგარი ბრძოლა ჰქონდათ,—ამის მოწმენი ყველანი ვართ. მე არ შემიძლია დღეს არ გავიხსენო ისიც, რომ ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური და კანონმდებლობის აუცილებლობის თავისუფლების მოწყობის ჟამი იმ თავითვე იგრძნო ჩვენმა ვექილობამ. უსაზღვრელს რეჟიმის დროს, ბატონს გიორგი ბეჟანის ძე გვაზავას მიუძღვის ღვაწლი გაბედულად, საჯაროდ საქართველოს ავტონომიის საჭიროების წამოყენებაში. ვის არ ახსოვს ის მწვავე კამათი, რომელიც გიორგი გვაზავას მიერ წაკითხულ მოხსენების გარშემო დატრიალდა.

აწ განსვენებული, ყველასაგან პატივცემული კავკასიაში თვალ-საჩინო ნაფ. ვექილი მათე იოსების ძე გრუზენბერგი, მართალია ქართველი არ იყო, მაგრამ იმ თავითვე მიემხრო და გამოექომაგა საქართველოს ავტონომიურად არსებობის საჭიროებას და მის საკუთარ კანონმდებლობის შექმნას. მახსობს აწ განსვენებული ნაფ ვექ. გიორგი გძელიშვილი, ეს სამშობლოსათვის წამებული და მისი უბედურების მომტირალი ვექილი, როგორ ეტრფოდა საქართველოს დამოუკიდებელ კანონმდებლობას. მისი სიტყვა და წერილები გაჟღენთილი იყო ამ ტრფობით. მაგრამ თუ დღემდის ჩვენს ვექილებს ფრთები შეკვეცილი ჰქონდათ და ხელფეხი შებოჭილი, დღეს მთელ საქართველოსთან ერთად მათთვის უპირველესად გათენდა. მათ უნდა იგრძნონ ყველაზედ მეტად სამშობლოს თავისუფლება!

დღეს მათ უნდა ჩაუყრონ საფუძველი თავის მომავალ კოლეგიურ ცხოვრებას მათ შორის გაკეთება შეუძლიათ და დიდი ვალი აქვთ, როგორც კერძო პირთა ბედნიერების მოსაპოებლად აგრეთვე სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქმედებაში.

ვულოცავთ ამ დღეს ქართველ ვექილობას და ვუსურვებთ მათ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივ და მოქალაქობრივ ცხოვრების ფაქიზი დარაჯნი ყოფილიყვნენ.

გ. გ—ზიანი.

პრესა

„აზხატაორი" ხომხების მონაწილეობაზედ ადგილობრივ თვითმართველობებში.

გაზ. „აზხატაორ"ის 6 თებერვლის ნომერში მოთავსებულია შემდეგი მეთაური „ადგილობრივი თვითმართველობანი და სომხის მშრომელი ხალხი", გაზეთი ეხება რა საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა მოქმედებას და სწერს:

„მაგრამ ამ თვითმართველობებში მცირე მონაწილეობას იღებენ საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა უმცირესობანი, განსაკუთრებით სომხის მშრომელი ხალხი. თვითმართველობები იქმნებოდნენ და ეწყობოდნენ ორგვარ პოლიტიკურად მძიმე პირობებში: ერთის მხრით საქართველოს ხელმძღვანელნი, ნაციონალიზმის შხამით დაზთვრალნი, ყოველნაირად ცდილობდენ სხვა ეროვნული ნაწილების დევნას, სცემდენ ქვეშევრდომობის ისეთს კანონებს, რომელთა წყალობით საგრძნობ უმრავლესობას ერთმეოდა უფლება, მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში; მეორე მხრით იგი დევნით და რეპრესიებით ჰქმნიდა ამ ეროვნულ უმცირესობათათვის ისეთს განმაცალკევებელს და ანტირესპუბლიკანურს პირობებს, რომელნიც შესაძლებელს არ ხდიდნენ სახელმწიფოებრივი მუშაობაში და აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებას. ამ მიზეზებისა გამო, თითქმის ყველა არჩევნებმა განვლეს აბსენტეიზისა და ბოიკოტის დევიზის ქვეშ. გარდა ამისა, არჩევნები ხდებოდა იმ დროს, როდესაც სომხის ხალხი ეწეოდა თავისთვის სასიცოცხლო ბრძოლას და როდესაც მის წინაშე იყო დასმული მისი ყოფნის და არ ყოფნის საკითხი. ყველა ამ ხელისშემშლელმა პირობებმა დააშორეს სომხის მშრომელი ხალხი ადგილობრივი თვითმმართველობებში მონაწილეობების მიღებას და სომხით დასახლებული ადგილების ბედ-ღბალი ჩაუგდო ხელში იმგვარ შემოხვევითი პირებს და ელემენტებს, რომელნიც არა თუ არ დაცავენ ამ ადგილების უფლებებს და ინტერესებს, არამედ, პირიქით, თვით გამოდიან მათ მდევნელებად და მოძულეთ.

რამდენიც არ უნდა ეცადოს საქართველოს მთავრობამ შექმნას ხელის შემშლელი პირობები სომხის მშრომელი ხალხისთვის, რამდენიც არ უნდა იქნას უკანასკნელი დევნილი და შევიწროებული, ყოველ შემთხვევაში მისი მონაწილეობა და აქტიური მუშაობა ადგილობრივ თვითმართველობებში ამ ჟამად წარმოადგენს აუცილებელს საჭიროებას, რომელიც გამომდინარეობს, როგორც მშრომელთა ინტერესებიდან, აგრეთვე მომავლის პერსპექტივებიდან. ახლო ხანებში რამდენიმე ადგილას დანიშნული იქნება ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები, სომხის მშრომელი ხალხი ამ არჩევნებში უნდა გამოვიდეს როგორც ორგანიზაციულად მოწყობილი ელემენტი და მიიღოს მონაწილეობა საქართველოს აღმშენებლობითი მუშაობაში. ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოთა საშვალებით მან უნდა იბრძოლოს იმ დესპოტიურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც სწარმოებს საქართველოში უმცირესობათა უფლების წინააღმდეგ".

„აზხატაორი", ყველა სხვა თავის ღირსებებთან, გულმავიწყიც არის, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, განგებ ივიწყებს წარსულის მაგალითებს.

დღეს გაზეთს უგრძვნია, რომ საქართველოში მოსახლე სომეხთა უმცირესობისთვის, საჭიროა მონაწილეობის მიღება საქართველოს თვითმართველობებში და იმ გარემოვბას, რომ ჩვენს თვითმართველობებში მათ წარმომადგენელობა არა აქვთ, საქართველოს შოვინიზმით გამსჭვალულ პოლიტიკას აწერს;

ნუ თუ „აზხატაორს" ავიწყდება, რომ წარსული არჩევნების დროს, „დაშნაკცაკანების" პარტიამ საერთო ბოიკოტი გამოაცხადა და ამ ბოიკოტის სულის ჩამდგმელი ხომ, თვით გაზეთი „აზხატაორი" იყო.

რა ამოქმედებდა მაშინ ამ გაზეთს და მის პარტიას?

მხოლოდ საქართველოს საწინააღმდეგო განზრახვები:

დამოუკიდებელი საქართველო ის იყო ფეხს იმაგრებდა და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანიზაციას შესდგომოდა: აშკარა იყო, რომ სომხების წარსული ბატონობა ახლად გაეროვნებულ დაწესებულებებში, უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივ ნიადაგზედ მდგომ ელემენტების დამკვიდრებით, „დაშნაკცაკანების" ბოიკოტი განზრახული იყო ახლოდ უცხო სახელმწიფოთა საყურადღებოთ: შეხედეთ საქართველოს, რომელმაც ადგილობრივ თვითმართველობაში წარმომადგენლობა არ მისცა ეროვნებათა უმცირესობასა—„დაშნაკცაკანებმა" ანგარიში წააგეს და დღეს იკბენენ თითებს;

ნათქვამია: გვიან უფრო სჯობს, ვიდრე არასოდეს—თუ საქართველოში მოსახ ე სომეხთა ხელმძღვანელები დარწმუნდნენ თავის შემცდარ პოლიტიკაში, ქართველი ხალხი სიამოვნებით შეხვდება მათ თანამშრომლობას საერთო სახელმწიფო ადმშენებლობის საქმეში.

წითელი საფრთხე

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „Temps" თავის უკანასკნელ №-ში მთელ რიგს, მეტათ საყურადღებო წერილებისას უძღვნის ბოლშევიზმის საკითხს. ვხეჭ დავთ ერთ-ერთ მეთაურს ამ გაზეთის 17 იანვრის №-ში მოთავსებულს, რომელიც არც ჩვენი მკითხველებისათვის არის ინტერეს მოკლებული.

„ინგლისის სამხედრო და საზღვაო მინისტრები ჩავიდნენ პარიზში, სადაც შეიმუშავებენ ბოლშევიკურ ოპერაციების საწინააღმდეგო გეგმას.

სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრები განსაკუთრებულ ყურადღებით მოეპყრენ ამ საქმეს ლონდონში. გარეშე საქმეთა მინისტრი იმ აზრისაა რომ ოსმალონი განიდევნონ კონსტანტინოპოლიდან.

დიდი მითქმა მოთქმაა ბოლშევიკების წინსვლის შესახებ, რომლის შედეგი შეიძლება მეტად სახიფათოდ აღმოჩნდეს, რადგან შესაძლოა ბოლშევიზმი გადაედოს მთელ აზიას და აქედან მთელ ევროპასაც მოეკოს.

საფრანგეთი ამას გულცივად უყურებს და იმედებს ამყარებს კომპეტენტიურ პრესაზედ რა მიზეზია რომ ჩვენ, გამარჯვების შემდეგ, რომელის შემდეგ მთელი ქვეყნის ბატონპატრონი შევიქენით, გვეუბნებიან რომ დავიღუპებით? ყოველივე ამას ხომ ბოლშევიკების ვერაგობას ვერ მივაწერთ, ან რუსეთის ზოგიერთ პატრიოტების სიბეცეს და „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტებს? ამისთანა მომენტში მისაღებია განა რუსეთთან ლოლიკურად რაიმე საქმის დაჭერა? საფრანგეთმა ხელიდან გაუშვა ოდესა და ყირიმი, ეს მაშინ, როდესაც ინგლისი თავის ძალას მაქსიმუმამდე სჭიმავდა და ეხმარებოდა დენიკინს. პოლონგთის შესუსტებაც მიმდინარე მომენტის ბრალია. ამ დროს ფინლიანდია თავს იკავებდა, რუმინეთს კი აქებდნენ და პატარა იუდენიჩის არმია თავისი თამამი ჯარის-კაცებით თავგანწირულათ იბრძოდნენ. ეს ძალები ბალტიკის მხარეში კარგ დახმარებას უწევდნენ მეზობელ ხალხს და მოკავშირეთ. ცოტა ხნის წინად კლემანსოს და ლლოიდ ჯორჯს გადაწყვეტილი ჰქონდათ როგორმე ბოლშევიკების რგოლი გაეწყვიტათ, ეხლა კი დავიწყებული აქვთ თავიანთი განზრახვა. გუშინ მოკავშირეთა წარმომადგენლებმა მოუსმინეს კავკასიის რესპუბლიკათა დელეგატებს--საქართველოს, რომელსაც ჰყავს ინგლისის გარნიზონი ბათუმში, აზერბაიჯანს რომელსაც აქვს ნავთი და აგრეთვე ბაქოში ყავს ბოლშევიკები.

არ მოუნდომებიათ სომხეთის ელჩების მიწვევა ერევნიდან რომელიც იმყოფება ამ ორ სახელმწიფოთა შორის და რომელნიც დიდათ ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკებს და პანისლამინიზმსაც განა ანგარიში არ უნდა გაუწიოთ გეოგრაფიულ პირობებს? თეორეტიული შეხედულებით იბადება საკითხი: როგორ იქცევიან მოკავშირენი?

უნდა ისიც მივიღოთ მხედველობაში თუ რა პრინციპებით განაგებენ თავიანთ ქვეყანას?

დემოკრატიული მმართველობა მოუხერხებელ ფარგლებში ტრიალდება. ავტორიტეტული მართველობას შეუძლიან უარი თქვას კონტროლზე, ვინაიდან ისინი ფარისევლობენ რომ მოიპოვონ საერთაშორისო კომპეტენცია!

ჩვენ მოკავშირეთა შორის არის შეუხამებელი ორი მომენტი;

რაც შეეხება საფრანგეთს, ჩვენ უკვე გულ ახდილათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ომიანობის რამოდენიმე დღის განმავლობაში, საფრანგეთს არ შეუძლია შეუერთდეს რომელიმე გეგმას ბოლშევიზმის, პანისლამიზმის, თუ პანთურქიზმის წინააღმდეგ.

ახალი მთავრობის ძალის განსამტკიცებლად პარლამენტმა უნდა ხმა ამოიღოს.

მან უნდა გულახდილად აღიაროს ქვეყნის წინაშე თუ რა გზით, ან როგორი პოლიტიკით აპირობს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობას, თავის მიზნების განსახორციელებლად. ამ ჟამად საფრანგეთს მხოლოდ შეუძლიან ყური უგდოს და იაზროვნოს, მაგრამ მან უნდა მაინც გაიგოს ის ჭეშმარიტება, რომ თანამედროვე ომი განიყოფება სამ ნაწილად: ერთი—კომმუნისტური, რომელიც წითელ ელფერით იმოსება; მეორე—რუსეთის ეროვნული გრძნობის, და მესამე კი, მაჰმადიანთა გრძნობების კარნახით, რომელიც ტრიალებს ინგლისის პოლიტიკის ექსპლოატაციაში, რომელსაც ემუქრებიან ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულობებით.

ეს სამი ძალა—სულ სხვა და სხვაა და არც ერთს არ შეუძლიან განთავისუფლდეს და გამოვიდეს ისე, რომ ორთავე მხარესთან შეტაკება არ მოუხდეს.

არსებული კომუნიზმი ჩაჰკლავს ეროვნულ გრძნობას და შეურაცჰყოფს. ისლამს რუსეთის ნაციონალური არმია საკმაოდ არ არის ძლიერი რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ტროცკის მეაოვრობას.

რაც შეეხება პანსლავიანიზმის, პანთურქიზმის და სხვა აზიელთა „პან"-ს ეს ძალები სრულიად დაშორებულნი არიან მესამე ინტერნაციონალიზმს და ყველა ესენი ახალ რუსეთის წინააღმდეგ გამოვლენ.

თუ ჩვენ ვქადაგებთ ამ სამი ძალის წინააღმდეგ ეს აუცილებელი და საჭირო—საველდებულოა.

საფრანგეთი და ინგლისი რუსეთის მოკავშირენი იყვნენ და ოსმალეთიც ძათი დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მათ არ შეუძლიანთ ბოლშევიკებთან ბრძოლის გამართლებით აწარმოვონ რუსეთის და მაჰმადიანთა საწინააღმდეგო პოლიტიკა: ტალეიერანის თქმით, ეს იქნებოდა უფრო სასტიკი, ვიდრე დანაშაულობა.

იმავე №-ში იგივე გაზეთი შემდეგ წერილში სხვათა შორის სწერს:

...ბაშ რა უნდა ვაკეთოთ? ყველა ჰხედავს, თუ რა: უნდა შეეკრათ ერთი ფრონტი, ფრონტი მთლიანი და განუწყვეტელი, რომელშიაც ჩადგებიან და ერთი მეორის გვერდით აქტიურ თავდაცვას აწარმოებენ, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ყველა ის ქვეყნები, რომელთაც ბოლშევიკური თავდასხმა ემუქრება. დანციგისა და რიგის მეზობებით ეს ფრონტი უშუალო ურთიერთობაში იქნება ჩრდილოეთის ევროპასთან; ოდესის მეზობებით კი, სადაც უკრაინელთა ძალების ყოფნას აღნიშნავენ, მაგრამ სადაც, როგორც სჩანს, აგრეთვე ბრიტანიის სამხედრო ნაწილებიც იმყოფებიან, იგი ხმელთა შუა ზღვის პორტებს დაუკავშირდება. პოლონელთა და ლიტველთა დახმარებამ შეაკავშირა ამ ფრონტის ორი შტო. დარჩა გასაკეთებლათ, პოლონელებისა და რუმინელების თანამშრომლობის საქმე ადგილობრივი ძალებისაგან, რომელთაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ ვოლინიას, პოდოლიას, ხერსონას პროვინციის დასავლეთ ნაწილს და შეიძლება თვით კიევის მხარესაც საჭიროა წესიერად შეიარაღება ამ ცრცელი ფრონტისა, რომელმაც უნდა მოგვცეს მეტად მოძრავი თავდაცვის საშუალება.

ცხადია, საქმე იმას კი არ ეხება, თუ როგორ დავსძრათ ჯარები მოსკოვის მიმართულებით, კრემლის ასაღებად, სადაც ლენინი ბრძანდება რუსეთის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოთ თვით რუსების საქმე; შეიძლება რუსეთის დამხსნელი ძალა თვით ბოლშევიკების წიაღიდანაც წარმოსდინდეს. მაგრამ აქ საქმე ეხება ბოლშევიზმის გავრცელების შეყენებას იმას რომ ამ ცეცხლის ალმა ახალი ძლიერება არ შეიმატოს მეზობელ ქვეყნების ჩანთქმით. ეხლა პოლონეთის აღმოსავლეთის ფრონტზეა გაშლილი კატალონის მინდვრები, რომელშაც ცივილიზაცია უნდა დაიცვას.

უცხოეთი

უკრაინა

წერილი უკრაინიდან

(„საქართ". კორესპ.)

მოსკოვის წითელი ლაშქარი ისევ შეიჭრა ტარას შევჩენკოს სამშობლოში.

დამოუკიდებელ უკრაინის გაგლეჯ გამოგლეჯაში სამი ძალა ეტოქებოდა ერთმანეთს;

საბჭოთა რუსეთი, პოლონეთი და მოხალისეთა არმია.

შარშან, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ზემოხსენებული ხამი ძალა ერთ და იმავე დროს პეტლიურა და უკრაინის უმთავრეს ცენტრებში უკრაინის სახელმწიფოებრივობა მოსპო.

ქ. ტარნოპოლში შეხიზნული უკრაინელი პეტლიურა წელსაც შეხვდება კიევში მობანაკე ტროცკის პოლკებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკების ხელში გამოსაყენებელ იარაღად გადაქცეულ ებრაელების საბჭოებს და სიღარიბის კომიტეტებს... ბოლშევიკები წელსაც მბყრობელობენ უკრაინაში; აქედან ერთი შეხედვით ის გამომდინარეობს, რომ უკრაინის ხელმწიფების მთელ მშობლიურ ტერიტორიაზე აღდგენისთვის პირობები ისევ დუხჭირია და გარეშე მოვლენები ხელს უბორკავენ „უკრაინის სამოსტინიკებს“.

ამ დროს ხოტბის ღირსია პეტლიურა და მისი თანამშრომელნი, რომლებიც ამ ორი წლის სიგრძეზე ქართველ საბაბერივით, ერთ კუთხის და კარგვის შემდგომ მეორე კუთხეში გადადიან და ასობდა დამოუკიდებლობის ისარს.

ამ ხალხში დაგროვილია სახალხო ენერგია, რომელიც მუდამ რჩება დაუშრეტელად.

საქართველო სიხარულით მიეგება ცნობას, რომელიც უკრაინის მდგომარეობის გაუმჯობესებას მოგვითხრობს.

„არც ისე უნუგეშოა უკრაინის ყოფა.

ეხლა, როცა ანტანტამ სცნო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკ დებლობა ანტანტი შეუდგება ანტი ბოლშევიკური ძალების ორგანიზაციას და მაშინ უკრაინას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

40 მილიონიანი უკრაინის ერი სახელმწიფოდ გადიქცევა და ეს შეაში გააპობს და წელს მოსწყვეტა ლენინის სოციალ იმპერიალისტებს.

ანტანტმა და სხვა დაინტერესებულმა რესპუბლიკებმაც უკრაინის სახელმწიფოებრივ გამაგრებას ყოველგვარი საჭირო შველა უნდა მისცენ...

ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი თვალსაჩინო ბაზაა და ეს დასაყრდნობი ადგილები პეტლიურასთვის, რომელმაც მოსკოვის იმპერიალისტებს ხელიდან უნდა გამოეცალოს.

პურით მდიდარი კიევი, სამრეწველო ხარკოვი, ქვანახშირის ბასეინი (დონისა) და რკინეულით სიმდიდრე სულ მოკლე ხანში გამართავს უკრაინის სახელმწიფოს.

უკრაინა დიდი ძალაა შეშლილ მოსკოვის დასაპირდაპირებლად და პირველად უკრაინაში უნდა გადისროლონ ბედის კამათლები ანტანტის სახელმწიფოებმა.

მთელს „მალოროსიაში“ გაფართოვდება და განმტკიცდება უკრაინის ხელმწიფება თუ არა, კიევის მიდამოებში კისერს მოსტეხს მოსკოვის თვითმპყრობელებს, მაგრამ ამისთვის უკრაინას სჭირია ანტანტისაგან ფართე დახმარება.

უსაზღვრო სიხარულით ვიღებთ უკრაინის აღდგენის ცნობებს და ვფიქრობთ, რომ ანტანტი ყოველ მხრით ხელს შეუწყობს დემოკრატიულ ქვეყნის დაფუძნებას, როგორც მსოფლიოს გამხრწნელ და „დამაჭლეტელ“ რუსულ სოციალისტურ ძალის დასაპირდაპირებელ საშუალებას.

უკრაინის ეროვნულ დემოკრატიული სახელმწიფო უნდა სამუდამოდ ჩამოყალიბდეს და მან თითქმის გადამწყვეტი ადგილი უნდა დაიჭიროს მოსკოვის იმპერიალისტებისგან გამოკვნის დროს. დ—ი.

ინგლისი

განზრახულ თვითმართველობის შემოღება ირლანდიაში.

(წერილი ლონდონ დან).

ირლანდიის საკითხის გადაჭრა დიდი ხანია რაც აღელვებს დიდ ბრიტანეთს.

ბრიტანიის იმპერიის ამ შემადგენელ ნაწილისათვის თვითმართველობის შინაჭების საკითხი პერიოდულად იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ იგი არ განხორციელებულა დღემდე, უმთავრესად მისთვის, რომ, როგორც ცნობილია, თვით მცნება „ირლანდია“ არ არის რაიმე გამორკვეული, როგორც ერთიანი ეროვნული ერთეული, რადგან მნიშვნელოვანი ნაწილი „ზურმუხტოვან კუნძულისა“, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქებისა ულსტერის სახელწ დებით, დასახლებულია რა ადგილობრივ ირლანდიელთა ტომით, არამედ ჩრდილო ინგლისიდან და შოტლანდიიდან გამოსულ პროტესტანტებით. და ეს ორი სხვა და სხვა—ეროვნებითა და რელიგიით, ზნითა და ტემპერამენტით დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ერთი მეორის მოსისხლე მტრებიც არიან. ეს მტრობა 1914 წელს, როცა შემუშავებულ იქმნა „ჰომრულის“ ანუ ადგილობრივ თვითმართველობის პროექტი, წინაღამ სამოქალაქო ომად არ გადიქცა, რადგან ულსტერის პროტესტანტულ მოსახლეობამ სასტიკი უარი განაცხადა დაჰმორჩილებოდა ირლანდიის ადგილობრივ პარლამენტსა და თვითმართველობას.

ასკვიტის კაბინეთის მიერ შემუშავებულ პომრულის პროექტის განხორციელება გადადებულ იქმნა მსოფლიო ომის დასასრულამდე. მაგრამ ამ დროს ირლანდიაში დაწყებულ 1916 წლის გაზაფხულზე სინფეინერთა ამბოხებიდან და გათავებული ანარქიისა და ტერორის იმ მდგომარეობით, რომელიც მეფობს ეხლა კუნძულზე და უკანასკნელად გენერალ-გუბერნატორ ლორდ ფრენჩზე მომხდარი თავდასხმით მდგომარეობა იმდენად გართულებულია, რომ დიდ ბრიტანეთის მთავრობას მოუხდა გამონახვა ირლანდიისთვის თვითმართველობის საკითხის გადასაწყვეტი საშუალება.

ირლანდიის უკიდურესი ელემენტები სინფეინერები კი ეხლავე მოითხოვენ არა მარტო უბრალო ადგილობრივ თვითმართველობას, გინდაც ფართო ჩარჩოში, არამედ სრულ დამოუკიდებლობასა და სეპარატიზმს.

მიუხედავად ამისა, ბრიტანიის მთავრობა, არ აქცევს რა ყურადღებას, ერთის მხრივ სინ-ფეინერთა მუქარას, მეორეთი კი ულსტერის შეურიგებლობას, და განზრახავ აქვს მიანიჭოს კუნძულს თითქმის სრული თვითმართველობა, დაახლოვებით ფედერატიულ დასაწყისებზე და ულსტერის მოსახლეობის ეროვნულ უფლებათა დაცვით.

დიდ ბრიტანეთის მიერ ირლანდიისათვის განზრახულ თვითმართველობის საზოგადო კონტურები დასახულია ლლოიდ ჯორჯის უკანასკნელ სიტყვაში პარლამენტის საშემოდგომო სესიის დახურვის დროს რი წარმოსთქვა.

თანახმად ამ პროექტისა განზრახულია ირლანდიის გაყოფა ორ ნაწილად. პირველში შეედენ ჩრდილო აღმოსავლეთის ყველა გუბერნიები პროტესტანტულ მოსახლეობით და თვითეულ ნაწილს მიენიჭება თვისი ცალკე ადგილობრივი პარლამენტი დუბლინსა და ბელფასტში სათათბიროთ ადგილით.

ამ ორ ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულებათა გამაერთიანებელ ორგანოდ იქნება „ირლანდიის საბჭო“ რომლისთვისაც ადგილობრივი პარლამენტი ოც ოც წარმომადგენელს აირჩევს.

ამ საბჭოს მიენიჭება სრული საკანონმდებლო ფუნქციები, გარეკეულებული მთელს კუნძულზე მაგრამ ორ ადგილობრივ პალატის შეთანხმებით. საბჭოს აგრეთვე მიენიჭება ყოველნაირი რწმუნებულებანი, ლონდონის ანუ საიმპერიო პარლამენტის და კითხვად. ქვემოდ, ცენტრალ მთავრობისაგან დამოუკიდებელ იმავე დასაწყისებზე ამ ორ პარლამენტს ძალუძთ შეერთება ირლანდიისთვის ერთ პარლამენტად. ცენტრალ საიმპერიო პარლამენტში ირლანდია წარდგენილ იქმნება 42 წარმომადგენელით.

ადგილობრივ პარლამენტებს მიენიჭება საკანონმდებლო ფუნქციები შემდეგ დარგებში:

სახალხო განათლება, ადგილობრივი თვითმართველობა, მეურნეობა, გზები, მოხუცთათვის პენსიები, დაზღვევა, საშინაო საკითხის გადაჭრა, მუნიციპალური საქმეები, ადგილობრივი სასამართლო, საავადმყოფონი, მექანიზმი, საზოგადოებრივ წესწყობილების განსამტკიცებლად, მუშათა კანონმდებლობა.

ცენტრალ საიმპერიო პარლამენტის უწყებაში რჩება საკითხები შეერთებული სამეფო სახლთან, ომისა და ზღვის გამოცხადება, საგარეო საქმეები, ლაშქარი და ფლოტი, ქვეყნის დაცვა, საკითხები სახელმწიფოებრივ ღალატთან შეერთებული, ვაჭრობა ირლანდიის გარეშე, საფოსტო ზღვაოსნობა, უმავთულო ტელეგრაფი და კაბელი ბაჟები და უზენაესი სამოსამართლო მმართველობა. საიმპერიო მთავრობას სამი წლის განმავლობაში ენიჭება კონტროლი ირლანდიის პოლიციაზედ.

ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა დაარჩება საიმპერიო პარლამენტის უწყებაში იქამდე, სანამ ორივ ადგილობრივი ირლანდიის პარლამენტი არ შეერთდება ერთ საერთო ირლანდიის პარლამენტად.

ირლანდიაში აკრეფილი გადასახადები დარჩება ირლანდიის მთავრობის უწყებაში. უკანასკნელი კი ერიურად საიმპერიო ხარჯებისთვის გადაიხდის 18 მილ. გირვანქა სტერლინგს.

დიდი ბრიტანეთი ირლანდიისთვის გასცემს „ულვს“ დახმარებას ფულით სხვა და სხვა საჭირო დაწესებულებათა მოსაწყობად. სამაგ და აქციზი დარჩება ცენტრალ მთავრობის უწყებაში სანამ შეთანხმება და შეერთება არ მოხდება ირლანდიის ამ ორ შემადგენელ ნაწილ ია შორის.

გადასახადი შემოსავლის კვალობაზე საიმპერიო მთავრობის კონტროლ ქვეშ დარჩება.

ამ ნაირად მთავრობის გადაწყვეტილება საბოლოოდ სწყვეტს სამართლიან დასაწყისებზე მეტად რთულსა და მომაბეზრებელ ირლანდიის პრობლემას, რომელსაც დიდი თანაგრძნობით მიეგება ინგლისური პრესა რო გორც მთავრობისა ისე ოპოზიციისა იმ იმედით, რომ ასევე სიხარულით შეეგებებიან მას თვით ირლანდიის ვადამტერებული ფრაქციები და მით ბოლო მოეღება ანარქიასა და ტერორს რომელიც ასე სასტიკად ემუქრება ირლანდიის კეთილდღეობასა და ეკონომიურ გინვითარებას.

მ. ლ.

სომხეთი

აჰარონიანის დეპეშა.

აჰარონიანი დეპეშით იტყობინება, რომ ცნობილია სომხეთის de facto, როგორც მთავრობა გაერთიანებული სომხეთისა, რომელიც აგრეთვე პრინციპიალად აღიარებულია. (სომხ. დეპ. სააგ.).

სომხეთის ქალალდის ფული.

ბათუმიდან ჩამოსული დეპეშით იტყობინება, რომ პარიზში დაბეჭდილი 50, 100 და 250 მან. სომხ. ქალალდის ფულები გამოგზავნილია. (სომხ. დეპ. სააგ.).

რუსეთი

რუსეთის თათართა მიმართვა მოკავშირეთადმი.

რუსეთის და ციმბირის თათრებს მრავალრიცხოვან მიტინგზე დაუდგენიათ, მიჰმართონ უმაღლეს საბჭოს და აცნობონ, რომ მათი სურვილია ოსმალეთის მთლიანი არსებობა. „გასულ საუკუნოებში ევროპის მიერ ოსმალეთისადმი გამოჩენილი უსამართლობანი ჩვენს მეხსიერებაში არიან. ამ თავისუფლების და თანასწორობის ხანაში ახალი უსამართლობანი არას დროს არ იქნებიან დავიწყებულნი.

ოსმალეთი

სტამბოლის საკითხი.

ინგლისური გაზ. „დეილი შეილ“-ი სინამდვილედ აღიარებს ოსმალთა სტამბოლიდან განდევნას გაზეთი ამბობს, რომ ოსმალნი შემცდარნი იქნებიან, თუ ამ გადაწყვეტილებაში დაინახავენ მათ წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მიზანს; აგრეთვე ინდოეთის მაჰმადიანებიც შემცდარ იქნებიან, თუ ამ გარემოებაში დაინახავენ მაჰმადიანთა რჯულისადმი უდიერ მოპყრობას მოკავშირეთა ეს გადაწყვეტილება არის სამართლიანი სასჯელი ოსმალეთის ყოფილ ხელმძღვანელთა და მთავრობისა, მათ მიერ მოკავშირეების მიმართ ჩადენილ ღალატის გამო და, გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებით დიდი სამსახური იქნება გაწეული ევროპის ცივილიზაციისათვის.

ბერძნული უნივერსიტეტი სტამბოლში.

ბერძნულ გაზეთების ცნობით იზმირსა და სტამბოლში საბერძნეთის მთავრობა იურიდიულ ფაკულტეტებს ხსნის.

ახალი ამბები

მთავრობაში.

მთავრობის თავმჯდომარესთან.

მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას წარუდგა სამუსლიმანო საქართველოს განძათავისუფლებელ კომიტეტის და მეჯლისის თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე და ვრცელი მოხსენება წარუდგინა ბათომის ოლქის მდგომარეობის შესახებ.

ბ-ნ ალშიბაიას მოსვლა.

დღეს ბაკოდან თბილისში მოელიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელს აზერბაიჯანში ბ-ნ ალშიბაიას.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

დაკმაყოფილებულ იქმნას ს. რუისის ქალთა საზოგ. შუამდგომლობა საოთავადაზნაურო საადგილ-მამულო კომისიისაგან სესაათ აღებულ 500 მან. პატიების შესახებ.

შრომის სამინისტროს შტატების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტი შრომის სამინისტროს შტატებისა და ხარჯთაღრიცხვისა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფ. კრებას ერთი შესწორებით შტატში ბუღალტერის მაგიერ შეტანილ იქმნას მოანგარიშის თანამდებობა.

საზამთრო ტანისამოსი ხამხედრო მფრინავთათვის

გადაიდოს სამხ. სამინისტროს განკარგულებაში 150,000 მან. სამხედრო ფონდიდან საავიაციო გუნდის თვის საზ. მთრო ტანისამოსის შესაძენათ.

სადისციპლინო პროექტის წესდება

პროექტი სადისციპლინო წესდებისა შეტანილ შესწორებით მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფ. კრებას.

ხაზხედრო სკოლის კურს დამთავრებულთა ოფიცრის ხარისხზე აყვანის დროებითი დებულება

სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი დროებითი დებულება სამხედრო სკოლისა კურს დამთავრებულ ჯარის კაცთა—ოფიცრის ხარისხზე აყვანის შესახებ დამტკიცებულ იქმნას.

ხასჯელთა წესდება.

დროებითი კანონ-პროექტი სასჯელთა წესდების და სახჯელთა დებულების ჯარიმის გადიდებისა მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ა. გ. გელოვანი

სენატის ბრალმდებლის ამხანაგი ა. გ. გელოვანი განთავისუფლებულ იქმნას აღნიშნულ თანამდებობიდან მისი თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო.

დამფუძნებელი კრება

სხდომა.

გუშინ 6 თებ. მორიგი სხდომა დამფ. კრებისა ქვორუმის სიმცირის გამო არ შესდგა.

ჯარიმა.

დამფ. კრების პრეზიდიუმის დადგენილებით დაეჯარიმეს ყველა წევრები დამფ. კრებისა, კრებაზე დაუსწრებლობის გამო.

სხვა და სხვა ამბები.

ხუმხეთში

ერევნიდან ჩამოსულთა ცნობით სომხეთში საგრძნობლად შემცირდა გადამდებ ავადმყოფთა რიცხვი.

ახალი პარტია

სომხეთში დაარსდა ახალი პოლიტიკური პარტია: სომხეთის სოციდემ. მუშათა პარტია. პარტიის დამაარსებელნი არიან: დ. ანანუნ, პ. ზაქარიანი, სტ. ზორიანი, ბ. იუხანიანი, ც. ხანზატიანი, ა. მელიქოსეფიანი, გ. პეჩიკიანი, პ. ოგანჯანიანი, ხ. სამუელიანი და ტ. ტერტადიანი. 18 იანვარს პარტიამ გამოა ქვეყნა თავისი პროგრამა.

ქურდობა.

4 თებერ ტ ტიანის ქუჩ. საღ. 10 ს. გაქურდეს ხლიუმბერგის ბინა. წაღებულია 500,000 მ. ქონება.

გადამდები ავადმყოფობა.

ბოლო ხანში თბილისში საგრძნობლად იმატა გადამდებ ავადმყოფობათა რიცხვმა. გაიხარდა პურტახტინი ტიფითა და ბუნაგით ავადმყოფობა, ამ ჟამ-დ ქალაქთა კავშირმა მიიღო დიდძალი ხუნაგის წინააღმდეგ შრატი.

კონტრაბანდა

წასულ წელს დეკემბერში სოხუმის სანაპირო როზმს დაუჭერია 13,300 მანეთის საქონელი, ფოთისას 15288 მ. ახალციხისას 20,015 მ., ზულავერისას 101,845 მ., სიღნაღისას 15,220 მ., დარიალისას 11,070 მ.: სულ 176839 მ. გარდა ამისა ოთხჯერ დაიჭირეს მრავალი ძვირფასი ნივთები.

რკ. გზაზე.

ჯამაგირების მომატება.

ახალი მომატება ჯამაგირებისა რკინის გზებზე უდრის 13800000 მ. ოთხი თვის განმავლობაში.

საქონლის ხოცვაზე ფახის მომატება.

ქალაქის თვითმართველობამ გაადიდა გადასახადი საქონლის ხოცვაზე, რაც უეჭველია გავლენას იქონიებს ხორცის ფასის აწევაზე.

ტრამვაი.

ტრამვაის ვაგონების რიცხვი გადიდებულია 29—50-მდე.

არამიანცის საავადმყოფო.

არამიანცის სახელობის ქალაქის საავადმყოფოში რევიზიამ აღმოაჩინა მრავალი ბოროტ მოქმედება. პასუხისგებაში მიცემულია 4 კაცი.

სამხატვრო ქრონიკა.

დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისიის მოწოდება.

დავით კლდიაშვილის იუბილეს მომწყობმა კომისიამ, შემდეგი მოწოდება გაუგზავნა ყველა დაწესებულებათა: ქართველ ხალხს, ყველა პატივისმცემელს.

თებერვლის 15-ს იმართება დავით კლდიაშვილის იუბილე. 30 წლის განმავლობაში ჩვენი ძვირფასი ბელეტრისტი ქართველი ხალხის კულტურულ ინტერესებს ემსახურებოდა. როდესაც საქართველოს მზე არ იყო ისეთი ბრწყინვალე, როგორც დღეს—დავით კლდიაშვილი სხვა ჩვენ მწერლებთან ერთად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და თავისი ლიტერატურული შემოქმედებით ხალხის სიბნელეს მედგრად შეებრძოლა.

ყველამ იცის, რომ მისი ნაწარმოებნი ქართველი ხალხისთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს, იგი ერთად ერთი და თავისებურია ჩვენს მწერლებში. მან სავსებით გადაშალა ქართველი კაცის გული და მთელი მისი დაფარული გულის ნადები, თავისი შემოქმედების ცეცხლით გაანათა.

ქართველი ერი მუდამ აფასებდა თავის ღირსეულ შვილებს. ჩვენმა ერმა თვით მონარქიზმის დროს უკვდავების შარავანდედით დააგვირგვინა საქართველოსათვის თავდადებული პირები.

დღეს, როდესაც იმედმა ფენიქსებრ ხორცი შეისხა და სიხარულის მზე ტრფობით სწვავს ჩვენ გულს, ცხადია საქართველო უფრო ღირსეულად დაიფასებს მის მოამაგეთ და მოსამახურეთ.

დავით კლდიაშვილი საქართველოს ბრწყინვალე და ძვირფასი თვალია.

30 წლის შრომა არ არის ისეთი მცირე, რომ საქართველომ მის პატივსაცემად ერთი დღით ზეიმი არ გამართოს.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს ყველა კულტურულ დაწესებულებას, ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული მწერლობა, ვინც აფასებს ჩვენ ბელეტრისტიკას და საყვარელ მწერალს—დავით კლდიაშვილს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ საზეიმო დღის მოწყობაში. გაიმართოს საქართველოს ყველა კუთხეში თებერვლის 15-ს ან ძის მომდევნო დღეებში დავით კლდიაშვილის პატივსაცემად დილა-საღამოები, რომლებზედაც ხალხს გააცნობენ ამ მაღალ-ნიჭიერ მწერლის შემოქმედებას.

თებერვლის 15-ს კი თბილისის თვალი კულტურული ქართველობა მიდის სახალხო თეატრში, რათა პატივი სცეს საყვარელ მწერალს.

საუბილეო კომისია სთხოვს ყველას, ვისაც კი რითიმე ჰსურს დღესასწაულში მონაწილეობის მიღება, ამის შესახებ წინდაწინ ამცნოს (მისამართი: რუსთაველის პრ., სწერალთა კლუბი „ქიმერიონი“).

დღე იცოდეს ყველამ, მტერმა და მეგობრებმა, რომ ჩვენ ვიცით ჩვენ საუკეთესო შვილთა დაფასება და პატივისცემა.

სიტყვა და საქმე შენ გეკუთვნის ქართველო ხალხო.

— **ქართული ოპერა.** ს. ევლახიშვილის ანტრეპრიზა ამზადებს კომპ. კ. ფოცხვერაშვილის ორიგინალურ ოპერას „კერპთა დამხობა“-ს. ოპერა დაიდგმება თებერვლის დამლევს. დაიდგმება ამ ცოტა ხნის განავლობაში ქართულად როსსინის „სევილიელი დალაქი“.

— **ვ. სობინოვის გასტროლები.** ახლო მომავალში განხრახულია ვ. სობინოვის გასტროლები, რომლის ჩამოსვლასაც იალტიდამ მოელიან.

— **ლ. ჯონსონის საღამო.** ლ. ჯონსონის საალეტო პირველი საღამო გაიმართება ორშაბათს თებერვლის 9-ს სახელმწიფო თეატრში.

— **ივ. ტერ-გრიგორიანცის იუბილე.** თბილისის სომხის დრამატიული საზოგადოება თავის დაძსახურებულ მსახიობ ივ. ტერ გრიგორიანცს თებერვლის 9-ს არტისტიულ თეატრში უმართავს 50 წლის სასცენო და სალიტერატურო ძოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილეს.

მოდგმის საღამო საბბატვრო არტისტიულ წრეში დღეს საინტერესო „მოდგმის საღამო“ იმართება. საღამოს ხელმძღვანელობს ნ. ევრეინოვი. საღამო გაიხსნება ს. რაფალოვიჩის რეფერატით „შიშველი მოდა“ შემდეგ ნ. ევრეინოვი წაიკითხავს „დეკოლტის ფილოსოფიის“ თემაზე. დაიდგმება პატარა სცენები, გაიმართება ცეკვა, ბალეტი და სხვა გასართობები.

თეატრი

დღეს:

სახელმწიფო თეატრი. „ჩერევიჩკი“.

„ტარტო“-ს დრამა „ქალწული წარსულით“.

კონსერვატორიის დარბაზი. ძმ. ფიდელმანების კონცერტი.

ქართული კლუბი. საოჯახო საღამო.

ქიმერიონი. პირველი ქართული საღამო.

პროვინციის ცხოვრება

ბათუმი

„ცენტრალ ბანკი“.

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრალურ ბანკის საორგანიზაციო საქმეებისათვის დამფუძნებელთ მინდობილობით თბილისში ჩამოსულ ბ-ნ დავით კალანდაძის მიერ, ეროვნულ საბჭოს ბინაზედ 1-ს თებერვალს 1920 წელს მოწვეულ იქმნა ქართველ ვაჭარ მრეწველთა კრება, რომელსაც დაესწრო სამოცამდე კაცი.

მომხსენებელის წინადადებით კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარეთ გრიგოლ ლავრენტისძე ელიავა, ხოლო მდივნათ მ. გ. რუსიძე. თავმჯდომარემ განუმარტა რა კრებას მოწვევის მიზანი და განზრახული ბანკის გახსნის მნიშვნელობა ნაციონალური ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისათვის სთხოვა ბ-ნ კალანდაძეს გაეცნო კრებისათვის საქმის ვითარება. ბატონ კალანდაძემ დაწვრილებით აუხსნა კრებას ხსენებული ბანკის დაარსების მიზანი და მნიშვნელობა როგორც საურთიერთო, საკრედიტო და კოოპერატიულ დაწესებულებათა ისე კერძო ვაჭარ-მრეწველთა და თვით ჩვენი სახელმწიფოსათვის, განმარტა რომ, თუ ჩვენ 25 მილიონამდე აქციებს ვერ შეავსრულებთ დაუმატებს ბ. გრ. ბერიძე.

ფართო მსჯელობის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მომხსენებელმა, ნ. ჯაყელმა, ს. ყუფორაძემ მ. რუსიძემ და ვლ. რუხაძემ. კრებამ იცნო რა სასურველად ხსენებული ბანკის დაარსება, დაადგინა: 1. ეთხოვოს მომხსენებელს შეატყობინოს დამფუძნებელთ სურვილი, რომ ყველა ათ აქციის შემძენელს, ეძლეოდეს ერთი ხმის უფლება. 2. ბათუმში ამ საქმის საწარმოებლათ შესდგეს საორგანიზაციო კომიტეტი ათი კაცისაგან, რომლის შემადგენლობაში ერთხმად არჩეული იქმნენ: ნ. საბაევი, გ. ბერძენიშვილი, ნ. ჯაყელი, ნ. მგელაძე. ვლ. რუხაძე ი. გოთუა, გ. ავალიანი ლ. ფირცხალავა, ნ. აღნიაშვილი და მ. რუსიძე.

არჩევნები თბილისის ნაფიც ვექილთა საბჭოში

2 თებერვლისათვის განზრახულ არჩევნების გამო თბილისის ნაფიც ვექილთა საბჭოში სასამართლოს პალატის წევრმა გ. ზ. ჩაჩიბაიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ამ საბჭოს შედგენა შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

მე, თბილისის სასამართლო პალატის წევრს გ. ზ. ჩაჩიბაიას მომყავს რა სისრულეში აღნიშნულ პალატის დავალება საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსების შესახებ, ვპოებ, რომ დამფუძნებელ კრების 11 ნოემბრის 1919 წ. დეკრეტის (1 პუნ.) ძალით საქართველოს ტერიტორიაზე ნაფიც ვექილათ და მათ თანაშემწეთ შეუძლია იყოს მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომს: რომ დამფუძნებელ კრების 27 მაისის 1919 წ. კანონის ძალით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ ანუ ქვეშევრდომათ ითვლება, მხოლოდ ის პირი, რომელიც მიწერილია 19 ივლისამდე 1914 წლისა რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე.

განსამარტებლათ იმისა, თუ რას წარმოადგენს ადმინისტრატიული ერთეული, უნდა მივმართოდ კანონს წოდებათა შესახებ. (10 ტ. კან. კრებ. გამოც. 1908 წ.) ამ კანონის მიხედვით მთელი სახელმწიფოს მოსახლეობა განიყოფება ორ ნაწილად: ქალაქის და სოფლის; მცხოვრებლებათ და წოდებათა უფლებებით კი განირჩევა ოთხ რიგი წოდებათა: აზნაურობა, სასულიერო წოდება ქალაქის და სოფლის მკვიდრნი (მუხ. 1 და 2).

ქალაქის მკვიდრთ—საერთო სახელწოდებით—მოქალაქეებს — ეკუთვნიან: 1) საპატიო მოქალაქე, 2) ვაჭრები, 3) „მეზჩანე“ ანუ მდაბიო მოქალაქე და 4) ხელოსნები. . . . . სხვა დანარჩენი კანონის განმარტებით ქალაქში მცხოვრებნი უძრავი ქონების პატრონნიც თუმცა შეადგენენ ქალაქის საზოგადოებას, მაგრამ მაინც არ ითვლებიან ნამდვილ მოქალაქეთ (503 და 504 მუხ. კანონ.) შემდეგ IX ტ. მუხლებში ჩამოთვლილია უფლება-მოვალეობანი ყველა ზემოხსენებულ ოთხი სამოქალაქო წოდებისა და აგრეთვე განსაზღვრულია წოდებრივი ორგანიზაცია ვაჭრებისა, მდაბიო მოქალაქეთა და ხელოსნებისა (510—770 მუხ.) ამ რიგათ ქალაქის მკვიდრთა შორის უნდა განირჩეოდეს 4 ჯგუფი მოქალაქეებიც; სახელდობრ: საპატიო მოქალაქენი, ვაჭრები, მდაბიო მოქალაქენი და ხელოსნები, და ეს წოდებრივი ორგანიზაციები უნდა ჩაითვალოს ადმინისტრატიულ ერთეულებათ, 27 მაისის 1919 წ. კანონის მიხედვით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალვიარით, რომ ამ ორგანიზაციებზე მიწერა 1914 წლის 19 ივლისამდე უფლებას ანიჭებს ყოველ მათგანი ჩათვალონ საქართველოს ქვეშევრდომებათ.

განვიხილე რა ზემოაღნიშნულის მიხედვით არა ქართველთა ეროვნების პირთა განცხადებები, რომელთაც სურთ: 1) იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც ვექილებათ, და 2) მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭოს არჩევნებში უნდა დავსკვნათ, რომ ხსენებულ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ვექილებს, რომელნიც ეკუთვნიან: აზნაურებს, გლეხებს და კანონის 503 მუხ. მე-IX ტ. მიხედვით მოქალაქეთ— ე. ი. ვაჭრებს, მდაბიო მოქალაქეთ, ხელოსანთ და საპატიო მოქალაქეთ.

ნაფიც ვექილთა განცხადებებთან წარმოდგენილ საბუთების მიხედვით ასეთებათ თბილისის სასამართლოს ოლქში აღმოჩნდნენ: ი. გ. ჯიკანიანცი, ა. ს. აგაჯანიანცი, ს. ზ. ხანკალამოვი, ტ. გ. ტერ-გეგონძიანცი, დ. ზ. გულულოვი, ე. ე. ხანდანოვი, ს. ა. ლამბაროვი, ე. ა. მადისონი, ბ. ი. ამირაღოვი, ლ. ა. შავერდოვი, კ. ნ. კანანოვი, ე. მ. ტურკევიჩი, შიპ. ასტვაცატუროვი, ი. გ. მელიქოვი, მ. ა. ხუბულიანცი, გ. ს. ბალდასაროვი, პ. მ. დოლუხანოვი, ი. მ. დოლუხანოვი, პ. ი. სარქისოვი, ი. ა. კოროლანოვი, ი. გ. ქრისტეფოროვი, ი. ი. კარაევი, გ. ს. ენიკოლოპოვი, ნ. ე. მზარეულოვი, ბ. ი. იელაგიანი, ს. გ. ტერ-ტეროვი, ი. ნ. სტეპანოვი, ვ. ი. წოვიანოვი.

მივიღე რა ზხედველობაში ზემოაღნიშნული, დავადგინე: საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც ვექილთა საბჭოს არჩევნებზე დაშვებულ იქმნან მხოლოდ ზემო ჩამოთვლილი პირნი თბილისის სასამართლოს ოლქში და დანარჩენს უარი ეთქვას ასეთ მონაწილეობის უფლებაზე და პირი ამა დადგენილებისა მოთავსებულ იქმნას ადგილობრივ გაზეთებში იმ პირთა ცნობისთვის, რომელთაც სურვილი განაცხადეს საქართველოს რესპუბლიკის ნაფიც ვექილად ყოფნისა.

წერა-კითხვის საზოგადოებაში

საქართველოს წერა-კითხვის საზოგადოებამ შემდეგი მოხსენება წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს:

«ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ორმოცი წლის განმავლობაში დარაჯად ედგა ქართულ ენას, რომელსაც მეფის რეჟიმი გადაგვარებას და სრულიად მოსპობას უქადდა. ამ მთავარი მიზნის მისახწევად ის ხსნიდა სკოლებს ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეებში, ბეჭდავდა სასკოლო სახელმძღვანელოებს და სახალხო წიგნაკებს, აარსებდა სამკითხველო-ბიბლიოთეკებს, იცავდა და აგროვებდა ჩვენი ძველი კულტურის ნაშთებს.

როცა დიდმა რევოლიუციამ ჩვენს სამშობლო ენას აღუდგინა მისი ბუნებრივი უფლება და დამოუკიდებელ საქართველოს გაუჩნდა ძლიერი პატრონი დამფუძნებელი კრების და მთავრობის სახით, ჩვენმა საზოგადოებამ ის თავისი სკოლები, რომლებიც მოქცეულიყო რესპუბლიკის დღევანდელ საზღვრებში, რიცხვით 24, სახალხო განათლებ. სამინისტროს გადასცა ყოველივე მოწყობილობით და ზოგ ადგილს საკუთარი შენობებითაც, დაიტოვა თავის განკარგულებაში მხოლოდ ის სკოლები, რომელნიც ჩვენი საზღვრების გარეშე დარჩენ, მაგალითად: 1) კავკავში, 2) ნალჩიკში, 3) არმავირში, 4) ბაკოში და 5) ბათომში. თავის 150 სამკითხველო-ბიბლიოთეკიდან ნაწილი ერსასყიდლოდ გადასცა ქალაქებს და ერობათ, ხოლო დანარჩენი მოკლე დროში უნდა გადაეცეს. ფასდაუდებელი მუზეუმი, რომელიც საზოგადოებამ შეჰქმნა, გადაეცემა სახელმწიფოს, როცა ამას მთავრობა მოითხოვს.

ამნაირათ წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია

ღღეს განთავისუფლებული და დამოუკიდებელი სამშობლოს ინტერესი მოითხოვს ჩვენი საზოგადოებისაგან ახალი მიზნის დასახვას, დროსა და გარემოების შესაფერი მისსიის შესრულებას.

ჩვენს განახლებულს სკოლას ესაჭიროება შესაფერი სახელმძღვანელო წიგნები. და რადგან ჩვენს საზოგადოებას ამ საქმეში აქვს გამოცდილება, მოწყობილი აქვს საჭირო აპარატი, შეუძლია თავგზის ირგვლის შემოიკრიბოს საუკეთესო ძალები, ამატომ მან ხელი მიჰყო ამ ასპარეზზე სკოლის სამსახურს: ასწორებს არსებულ სახელმძღვანელოებს, უკვეთს სპეციალისტებს ახალი წიგნების შედგენას და ბეჭდავს მათ.

ახალი სახელმწიფოს სასურველათ განმტკიცება და აყვავება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა პოლიტიკურ მუშაობას ზურგს უმაგრებს კულტურული მუშაობაც. და აი ამ ნიადაგზედაც ჩვენმა საზოგადოებამ გადადგა ნაბიჯი: შეიძინა საკუთრებად თუ გამოსაცემად თითქმის მთელი მშობლიური ბელეტრისტიკა და პოეზია, რომელთა შორის რამდენიმე ახალი ნაწარმოებია, შეუდგა ჩვენი კლასიკების ბეჭდვას და სხვა და სხვა.

გამგეობის შეკვეთით მუშაობს ათამდის მთარგმნელი, რომლებიც უცხო კლასიკებს სთარგმნიან: ინგლისურით, გერმანულით, ფრანგულით და რუსულით.

ასეთი დიდი მიზნის განსახორციელებლად, რაც მოითხოვს მილიონობით ხარჯს, საზოგადოებას არ ჰქონდა სახსარი, ამიტომ ის იძულებული შეიქმნა მთავრობისათვის მიემართა და ეთხოვა ნახევარი მილიონი უპროცენტო სესხი, რაც კიდევ მიიღო გასული 1919 წლის სექტემბერში. ამ ფულს ხაზოგადოებამ დაუმატა კიდევ თავისი ნახევარი მილიონი და ერთი მილიონი მანეთის ქალალდი შეიძინა მთავრობის საწყობში და კერძო პირთაგან.

ამ საშუალებით საზოგადოებამ 4 თვის განმავლობაში შესძლო 25 წიგნის დაბეჭდვა, დაბეჭდავდა ორჯერ მეტსაც, სტამბა რომ ჰქონებოდა თავის განკარგულებაში.

მდგომარე 1920 წლის სამოქმედო გეგმა საზოგადოების მთავარ გამგეობას განხილული და დამტკიცებული აქვს. დამზადებულია დასაბეჭდად ასზე მეტი ძველი, ხოლო 10—15 ახალი, ჯერ დაუბეჭდავი წიგნი.

ასეთი დიდი გეგმის განსახორციელებლათ ს. ზოგადოებას სჭირდება ამ წლის განმავლობაში 15 ათასი ფუთი ქალალდი, რაც მომარაგების სამინისტროს საწყობში ღირს ფუთი 600 მანეთად, ხოლო კერძო პირებთან ორასი თუმანი.

მთავარმა გამგეობამ თავისი გეგმა გააცნო და გაუფალისწინა სახალხო განათლების სამინისტროს და სთხოვა მას 8-10 ათასი ფუთი ქალალდის შეღავათიან პირობებში მოცემა. სამინისტრომ მოიწონა წარდგენილი გეგმა, თანაგრძნობით შეხვდა ჩვენს შუამდგომლობას და თავის მხრით მომარაგების მინისტრს სთხოვა ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

მომარაგების სამინისტრომ, როგორც დაინტერესებულმა ხალხისათვის ფიზიკური საზრდოს შეძენისათვის, ქალალდის მოცემაზე, სამწუხაროთ, სიტყვიერი უარი გვითხრა.

ეს გარემოება აიძულებს მთავარ გამგეობას მოგმართოს თქვენ, ბ-ნო ნოე ნიკოლოზის ძევ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, და დაბეჯითებით გთხოვს, თუ ჩვენი საზოგადოება ღირსი აღმოჩნდება მისცეთ მას საშუალება, რომ მისი მოქმედება ნაყოფიერი და სასარგებლო იყოს.

მთავარი გამგეობა საჭიროთ სთვლის თქვენი ყურადღება მიაქციოს, სხვათა შორის, შემდეგ გარემოებას: განსვენებული გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ თუმცა ჩვენი სახ. სამინ. მიერ შეუსწორებლათაც მოწონებულია, მაგრამ გამგეობამ საჭიროთ დაინახა ეს სახელმძღვანელო წიგნები შეასწოროს ისე, რომ თანამედროვე პედაგოგიკას მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებდეს. ამ მიზნით აგერ ოთხი თვეა სპეციალისტ პედაგოგთა ორი კომისია მუშაობს.

გასწორებული „დედა ენის“ ორივე ნაწილი უნდა დაიბეჭდოს ორასი ათასი ცალი, ხოლო ბუნების კარი კი ასი ათასი. ეს რაოდენობა ის მინიმუმია, რომელიც ჩვენი აზრით, დააკმაყოფილებს ჩვენს სკოლებს.

დაწვრილებითი ანგარიშით, რომ თავი არ შეგაწყინოთ, დავასახელებთ მხოლოდ ხსენებულ წიგნებისათვის საჭირო ქალალდის საერთო რაოდენობას, რაც უდრის 3750 ფუთს. სხვა სახელმძღვანელოებს, რიცხვით 15, და აგრეთვე საზოგადო ხასიათის წიგნებს სექტემბრამდის დასჭირდება ერთი ამდენი ქალალდი. გარდა ამისა, სასკოლო რვეულებისათვის საჭირო იქნება 1500 ფუთი. ამნაირათ სექტემბრამდის საჭირო არის 9000 ფუთი ქალალდი, რის ფასიც უდრის 5.400000 მ.

სკოლებს, ერობებს და სხვა დაწესებულებათ საკანცელარიო ნივთები, რაც ჩვენში არ მოიპოება და საჭიროა საზღვარგარეთიდან მოვიტანოთ, თუ ს. ამისო სახსარი გვექნება.

მთავარ გამგეობას არა აქვს საჭირო საბრუნავი თანხა, რადგან წიგნები იბეჭდება ერთბაშად, რაც დიდ თანხას მოითხოვს, ხოლო დახარჯული ფული კი უნდა შემოვიდეს ნაწილ-ნაწილათ და თანდათანობით.

უკველივე მოხსენებული გარემოება აიძულებს მთავარ გამგეობას მოგმართოს თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარევ, და გთხოვოს მისცეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დასახული მიზნის განსახორციელებლათ ხუთი მილიონი (5,000000) მანეთი სესხი სამი წლის. ვადით.

თუმცა დასახელებული ჯამი სავსებით არ დააკმაყოფილებს საზოგადოების ყველა მოთხოვნილებას, მაგრამ ამ ფულით უპირველეს ყოვლისა დააბეჭდება „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, რომელთა დაუბეჭდაობა დაწყებითი სკოლებში შეუძლებელათ გახდის სწავლის წარმოებას, ვინაიდან ამ წიგნებს მეტოქე და ბადალი არ ჰყავთ.

ამ შუამდგომლობის განხილვის დროს შეიძლება მთავრობის წინაშე დადგეს კითხვები: 1) შეუძლია თუ არა საზოგადოებას ამოდენა ვალის გადახდა. 2) აქვს თუ არა მას ქონება, რომ მით პასუხი აგოს და 3) დგას თუ არა ის მოლიპულ გზაზე, რომელიც მას კრახს უმზადებს.

ამ კითხვების განსამარტებლად გამგეობა მოახსენებს მთავრობას შემდეგს: 1) საზოგადოებას აქვს თბილისში საკუთარი მამული „ფიქრის გორა“ ზომით 4800 ოთხ კუთხი საჟენი, 2) ვაკეში, უნივერსიტეტის ახლოს, 264 ოთხ. კუთხი საჟენი მიწა 3) თბილისში, ანდრეევის ქუჩა № 22 ილია ჭავჭავაძისეული ერთ სართულიანი, ხუთ ოთახიანი და სარდაფიანი სახლი 350 საჟ. მიწით.

4) საგურამოში საზოგადოებას აქვს ილიასეული 53 დესეტ. მამული: ჩამორთმევის კანონი თუ საზოგადოებაზედაც გავრცელდა,—7 დესეტინა მაინც დარჩება, რომლიდანაც 3 დეს. ხეხილის ბაღია და 2 დეს. ვენახი. იქავე გვაქვს ილიასეული სამ სართულიანი ქვითკირის სახლი და 102 თავი სკა.

5) ქ. სოხუმში საზოგადოებას ეკუთვნის სკოლის ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა 900 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით.

6) ბათომში ორი შენობა: სკოლის და მასწავლებელთა ბინა, 250 საჟენი მიწით.

7) ბაკოში სკოლის ორ სართულიანი შენობა (14 ოთახი).

8) კავკავში ორ-სართულიანი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია: სკოლა, დიდი თეატრი, ბიბლიოთეკა, სასკოლო მუზეუმი, საკრედიტო დაწესებულება და ეკლესია.

9) საჩხერეში აკაკისეული ორსართულიანი ქვითკირის შენობა, ვენახი, ეზო, ზომით სულ 3 დესეტ. და კარის ეკლესია.

10) ქუთაისში ჩვენი განყოფილების კარგათ მოწყობილი სტამბა.

11) სოფ. ყვარელში ილიასეული 5 ნახ. დესეტ. მიწა და წისქვილი.

12) საზოგადოებას ღღეს თავის საწყობში აქვს სამი მილიონის წიგნები და ქალალდი.

13) საზოგადოების მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ფასის დადება შეუძლებელია, რადგან ეს ეროვნული განძია.

14) საზოგადოების საკუთრებას შეადგენს შემდეგ მწერალთა ყველა ნაწარმოებნი: 1) ალექსანდრე ყაზბეგის, 2) ილია ჭავჭავაძის, 3) იაკობ გოგებაშვილის, 4) ე. ხრამელაშვილის სამი სახელმძღვანელო წიგნი, 5) გრიგოლ ორბელიანის, 6) აღექ. ხახანაშვილის, 7) არჩილ ჯორჯაძის და 8) ივანე (კიტა) აბაშიძის.

გამგეობას გამოცემის უფლება აქვს შეძენილი შემდეგ მწერალთა ყველა ნაწერების: 1) გიორგი წერეთლის, 2) დავით კლდიაშვილის, 3) ვეჟა-ფშაველას, 4) შ. არაგვისპირელის, 5) ვასილ ბარნოვის, 6) ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი 7) დუტუ მეგრელის. 8) მელანიას 9) ნიკო ლომაურის, 10) ბაჩანას, 11) ლალიონის, 12) მოსე ჯანაშვილის დიდი სამეცნიერო ლექსიკონი 13) დ. ჭარიჭაშვილის რუსულ ქართული ლექსიკონი და მრავალი სხვადასხვა სახელმძღვანელო და საზოგადო ხასიათის წიგნები.

ყოველივე ჩამოთვლილი ქონების ფასის დადება ძნელი საქმეა და, ვფიქრობთ, არც არის საჭირო, რადგან ისედაც ცხადია, რომ ს. ზოგადოებას შეუძლია იკისროს 5 მილიონი მანეთის სესხის პასუხის მგებლობა.

დასასრულ მთავარი გამგეობა საჭიროთ სთვლის განაცხადოს, რომ მთავრობისგანგსესხად აღებუ ნახევარ მილიონს ის თავ. ს დროზე ვადაიხდის.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“,
გამომცემელი: თბ. გაჭ.-მრ. კომიტეტი.

ტ. მარგველაშვილი
მარცვლეულობის საკითხი საქართველოში.

პასუხად სავაჭრო სამრეწველო პალატას

გაზ. „საქართველოს“ № 23-ში პირველ თებერვალს სავაჭრო პალატის განყოფილებაში დაიბეჭდა წერილი ბ-ნ აფხაზის მიერ ხელმოწერილი, რომელშიც უკანასკნელი ეხება ჩემს წერილს „მარცვლეულობა საქართველოში“. მთავარი მიზანი ბ-ნ აბხაზის წერილისა ნათლათ გამოკრთის შემდეგიდან: (სურსათის საკითხი) უნდა დიდის სიფთხილით გაშუქდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ შემცდარ დასკვნას შეიძლება მოჰყვეს არა სასურველი შედეგი როგორც ხალხის ფსიხოლოგიაში, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე ვითარების დაფასებაში“ და შემდეგ, რადგან ჩემს წერილში ვამტკიცებდი რომ **არსებულ** პირობებში ჩვენ 30 მილიონი ფუთი ფქვილი უნდა შემოვიტანოთ თქო „ასეთ პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებელი არსებობაო“. არა მგონია, პატივცემული ბ. აფხაზი დიდ სამსახურს უწევდეს რესპუბლიკას ამგვარი უიმედობის დასახვით.

მე მგონია, საერთოდ ცნობილია, რომ ევროპაში თითქმის არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ საკუთარის მოსავლით, საკუთარის პურით საზრდოობდეს. ევროპის სახელმწიფოთა რიცხვის $^{3}/_{4}$ იკვებება იმპორტის პურით, მათ რიცხვში გახლავთ არა მარტო იტალია, გერმანია, პატარა სახელმწიფონი, ინგლისი და სხ., არამედ ქებული საფრანგეთიც. მხოლოთ ამერიკას და რუსეთს შეეძლო საკუთარი პურით თავის თავის უზრუნველყოფა. ამგვარათ პურის იმპორტის საშუალება არაფერი კრიტერიუმია დამოუკიდებლობის დაცვის პატრიოტიულ სურვილისა, მაშინ აფრიკისა და ავსტრალიის ხანგებს მეტი უფლებები ექნებოდათ არსებობის.

შემდეგ ბ. აფხაზი განაგრძობს: „პატივცემულ ავტორის აზრით მომატება მოსავლისა უცილობელი ნიშანი არაა იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია წარმოება მარცვლეულობისა. ეს დებულება ჩვენთვის გაუგებარი დარჩა“ მე მგონია, ბ. აფხაზი აქაც ცდება. აგეთი რამ არც დამიწერია.

კიდევ შემდეგ ბ. აფხაზი ბრძანებს: „ავტორმა შეამცირა რაოდენობა დათესილი ადგილისა აღმოსავლეთ საქართველოშიო“ ჩემს წერილში მოყვანილია გარკვევით წყარო თუ საიდან მაქვს ამოკრეფილი ჩემი ციფრები, რომელიც ეხება არა რომელსამე წელს განსაკუთრებით, არამედ ორთაშუა რიცხვს წარმოადგენს რამოდენიმე წლებისას. ესეც წერილში ნათქვამი მაქვს (იხ. № 13 და 15). მეტიც მაქვს ნათქვამი „გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს... აღმოსავლეთ საქართველოს მეთქი და სხ.“

შემდეგ ბ. აფხაზი განაგრძობს „ავტორს ნაანგარიშევი არა აქვს სათესლე და საქონლის გამოსაკვები მარცვლეულობაო“ მიკვირს როგორ შეიძლება ამგვარი რამის დწერა, როდესაც მე სრულიად გარკვევით ვწერდი, რომ **ხალხის** საკვებ მასალაზე მქონდა ბაასი და „სათესური ნაწილი ვიგულისხმოთ საერთო რიცხვიდან გამოკლებულათ და 35 მილ. ფუთი ვიგულისხმოთ, როგორც საკვები (ხალხის) რაოდენობა,“ თუმცა წლიური მოსავალი ჩვენ ვიანგარიშეთ 36 - 40 მილ. ფ. აქ ყველაფერი ცხადია. სათესლე და პირუტყვის საკვები ჩვენ გამოკლებულათ ვიგულისხმეთ, რადგან ვსაუბრობდით ხალხზე. ესეც ნათლათ არის ნათქვამი ჩემს წერილში.

შემდეგ ბ. აფხაზს მოჰყავს 1917 წლის მასალები კავკასიის სასურსათო სამეჩოს მიერ შეკრებილი, რომელიც მე არ ვიხმარე რადგან ვიცოდი მისი ღირებულება. ამ ცნობით, რომელსაც ბ-ნი აფხაზი ეთანხმება, საქართველოს ხალხის გამოსაკვებათ საკმარისია 35,5 მილ. ფუთი მარცვლეულობა. უკაცრავად თუ მე ამას ვერ დაეთანხმები. თუ 36 მილიონი ფუთი საქართველოს სავსებით ყოფნის არა მარტო 3 მილიონიან მკვიდრი მცხოვრებთა არამედ უთვალავ უცხოელთა გამოსაკვებათ მაშ გამოდის, რომ თითო მცხოვრებზე ორთაშუა რიცხვით დღეში 1—2 გირვ. მარცვლეულობა (და არა პური) ყოფილა საკმარისი. ბატონებო, ეს რომ შეუძლებელია დაგეთანხმებით გამოუცდელი გიმნაზიელიც. სულზე 1—2 გირვ. მარცვლეულობას „დღიური“ მოსავალი სრულიად არ შეიძლება საკმარისათ ჩაითვალოს.

ბ. აფხაზი ითანხმებს აგრეთვე რკინის გზის მარცვლეულობის გადაზიდვა-გადმოზიდვის სტატისტიკას. მას შემდეგ რაც ეგ სტატისტიკა მშვენივრათ დახასიათდა მისივე მართველობის მიერ (1916 წ.), მაზე ლაპარაკი და დაყურდნობა, გაუგებარია; მაგრამ ის კიდევ რომ მივიღოთ სწორ ცნობათ, მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან საქართველოში ფქვილი შემოდიოდა და შემოდის სხვა გზითაც, რაც ბ. აფხაზმაც იცის.

საქართველოს ცენტრალ სტატისტიკურ კომიტეტისაგან შეკრებული ყოფილა ცნობები, რომლის ძალით საქართველოს აკლია 21,6 მილ. ფუთი მარცვლეულობა ე.ი. დაახლოვებით იმდენი რამდენიც აკლია ჩემის ანგარიშით, რადგან მე ვწერდი (საქ. № 15), რომ საქართველოს „შეეძლია წლიურად მოიყვანოს 36—40 მილიონი ფუთი მარცვლეულობა“ და შემდეგ „საერთოდ საქართველოს სჭირდება წლიურად 60—70 მილ. ფუთი“ აქედან ცხადია რომ გვაკლია 30 მილ. ფ. დაახლოვებით. „(პოიპეკა“ რომ არ ვიანგარიშოთ) ეს რიცხვი ძალიან ახლოსაა საქართველოს ცენტრალ სტატისტიკურ კომიტეტის რიცხვთან, რომელსაც ბ. აფხაზი არ ეთანხმება და ამბობს „ჩვენი პირადი რწმენით ეს რიცხვიც გადაჭარბებულიაო“. შემდეგ „ნორმალურათ საქართველო ხმარობს 5—6 მილ. ფ. მოტანილ ხორბალსო“. რისთვის, საიდან გამოვიდა, ეს ხუთი მილიონი ფუთი, რისთვის, საიდან სჩანს, რომ საქართველოს ცენტრალ სტატისტ. კომიტეტიც ცდება და მეც. შეიძლება ჩვენ კი ვცდებოდეთ, მაგრამ ეს ბ. აფხაზს არ დაუმტკიცებია და ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რადგან საამისო მასალები ჯერ არ არის. როდესაც სრულიათ დასრულდება სტატისტიკური გამოკვლევა ეხლანდელი ჩვენი სახალხო მეურნეობისა, მაშინ შეიძლება სხვა სურათი დაგვეხატოს, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ახლოს იქნება ჩვენს მიერ დახატულთან, ვიდრე ბ. აფხაზის რწმენასთან.

მაგრამ ბ. აფხაზი ფრთხილია და უკან იხევს დაწყებისათანავე: „ყოველივე ზემო ნათქვამიდან ჩვენ არ გამოგვყავს ოპტიმისტური დასკვნა. ღღეწანდელი ჩვენი ვითარება მეტათ სერიოზულიაო“. შემდეგ „ჩვენს მთავრობას მართებს ერთი მხრით მუდმივი ზრუნვა, რათა ჩვენში მომავალ წლებში განვითარდეს და გაძლიერდეს მარცვლეულობის მოყვანა, ხოლო მეორე მხრით გამოძებნა ხელსაყრელ პირობებისა და საშუალებათა უცხოეთიდან პურის შემოსატანად“.

მართლაც მივიღოთ, რომ ბ. აფხაზის ციფრი 5 მილ. სწორია. აშაზე მეტი მარცვლეულობა (და არა ფქვილი) რომ არ დაგვაკლდეს, ეს ეგრე საგრძნობი არ იქნებოდა. აი რატომ. 5 მილ. ფ. უდრის 200 მილ. გირვ. წლიურათ, რაც სულზე ორთა შუა რიცხვით 67 გირვ. იქს. თუ წლიურათ სულზე მხოლოთ 67 გირვ. დაგვაკლდა, გამოდის, რომ ღღეში დაგვაკლდება სულზე 67:365 გირვ. ეს ციფრი სრულიათ უმნიშვნელოა (და კიდევ ნუ დაგვიწყდება—ხორბალი და არა ფქვილი თუ ნამცხვარი!!) ამასაც რომ თავი დავანებოთ, არას ჭეშით არ შეიძლება შეზავება ბ. აფხაზის ანგარიშისა ცენტრალ სტატისტ. კომიტეტის ახალ გამოკვლევის შედეგებთან, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ უთუოთ, თუ რასმეზე დაყრდნობა გვინდა.

ამით ვამთავრებთ ყოველივე კამათს ბ. აფხაზთან, რომელსაც ვთხოვდით, მანამ საკამათოთ კალამს აიღებდეს, კარგათ გაეცნოს მოპირდაპირის აზრებს

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სინამდვილის მიფეჩეჩება და დამალვა კი არ არგებს, არამედ ავნებს.

ამგვარათ ბ. აფხაზის წერილში არამც თუ ვერაფერი დამარწმუნებელი ვერ ვნახეთ არამედ ის დიდი შეცდომაცაა, რომ 1) იგი ემყარება უვარგის წყაროს. სასურსათო კომიტეტების სტატისტიკა რომ სწორი და იქვ მიუტანელი ყოფილიყო, ახალი შრომა ალბა დაგვჭირდებოდა ცენტრალ. სტატისტიკურ კომიტეტისა. უკანასკნელის ამუშავება თვითონ მოწმობს თუ რამდენათ საეჭვო იყო ბ. აფხაზის მიერ მოწონებული ცნობები. უკანასკნელი კომიტეტის მუშაობა ჯერ არ დასრულებულა და თუ დასრულდა საზოგადოებას ჯერ არ გადასცემია სავსებით. როდესაც ეს სხ. და სხ. მოსაზრებით შესაძლო გახდება, მაშინ აშკარაი დავინახავთ სინამდვილეს. მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ თუ ბ. აფხაზი იმ ცნობებს გადაათვალიერებს იძულებული იქნება თავისი რწმენა ძირიანათ შეიცვალოს. 2) ბ. აფხაზი საიდან ანგარიშობს თუ რამდენი დასჭირდება საქართველოს, არა სჩანს. დაყრდნობა რომ ლიეე წყაროზე ამ მხრივ სრულიათ შეუძლებელია. აგეთი არ არსებობს. ჩვენ უნდა დავიწყოთ ანგარიში ისე როგორც ანგარიშობენ საზოგადოდ ხალხის გამოკვების სტატისტიკოსები (Volksnahrungsstatistik) მინამ სათანადო წესი შეიქმნებოდეს. აქ ისმება კითხვა რას შესჭამს ორთა შუა რიცხვით მოქალაქე ამა თუ იმ სახელმწიფოსი (უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოებში ეს საშუალო რაოდენობა ერთნაირი არაა და დამოკიდებულია კულტურულ და ეკონომიურ ვითარებაზე). აი აქ შეეძლო ბ. აფხაზს ჩემს წინააღმდეგ გამოსვლა. მას შეეძლო 4 გირვ. პური (მეადი) სულზე როგორც მე ვანგარიშობ გადაჭარბებულათ აღიარებინა და ეს ციფრი შეეკირებინა. აქ კიდევ შეიძლება კამათი ისე რომ რაიმე სამართლიანობა არ დაარღვიოთ. მე პირველი დავთანხმდები 4 გირ. მაგრამ ანგარიშში მივიღოთ 2 ან 3 გირ. თუ კი ღმერთი იქნს და ჩვენს ხალხს პურის (მეადის) გარდა კიდევ სხვა რამეც საკმარისი ექნება საკვებათ (ხორცი, როგორც გერმანიაში იყო და სხ. ან ყველი ჰოლანდიაში და სხ.). მაგრამ ეს ხომ საკითხს საბოლოოთ არ სწყვეტს არა მარტო 2—3 გირ., არის ქვეყნები სადაც ეხლა $^{1}/_{4}$ გირვანქითა დაკმაყოფილდებიან. იტალიაში მაგ. განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში, სადაც რომელების დროს სასოფლო მეურნეობა ყვაოდა, ეხლა სიღარიბეა და მეტ პურს ხმარობენ საშუალოთ, ვიდრე ლომბარდიაში. ორთა შუა რიცხვით საქართველოში თუ 4 გირვ. ვიანგარიშე, ეს მისთვის რომ გამოვდიოდი **ხალხის გაჭოკვების** მოსაზრებიდან (ე. წ. სტატისტიკაში der gemeine Manme). ვთქვათ 4 გირვ. ძალიან ბევრია, რაც ეხლანდელ პირობებში სწორი არ იქნება—რადგან ასეთი სხ. და სხვაობა დიდია ე. ი. ბატარა ბავშთა რიცხვი, როგორც ყოველგა ომისა და რევოლუციის შემდეგ შემცირებულია. ჩვენ მაშინ უნდა ავიღოთ ნაკლები ციფრი და შევადგინოთ ჯამი მთელი ხალხის გამოსაკვებ რაოდენობისა. როგორც ჩვენ მოვიქეცით. სხვა მეთოდი სტატისტიკას არა აქვს. თუ ამას გამონახავს სხვა ვინმე, პატივი და დიდება მას. მე კი ნება მიბოძეთ ვიხელმძღვანელო ჯერ ჯერ ობით მაინც იმ მეცნიერების მეთოდებით, რომელთანაც სიყრმითვე თანშეზრდილი ვარ.

ამას გარდა, ნება მიბოძეთ ერთი მაგ. მოვიყვანო გერმანიაში სასოფლო მეურნეობა ჰყვავოდა ომის წინა წლებში შედარებით უწინდელ დროსთან. მაგ. 1913 წ. მოსავალი უდრიდა: ჰური (ხორბალი): 4,69 მილიონი ტონა

შვრია	12,2 მილ. ტონი.
ქერი	3,67 მილ. ტონი.
ფეტვი	9,7 მილ. ტონი.*)

სულ მარცვლეულობა 30,22 მილიონი ტონა ე. ი. 1.843 420.000 ფუთ., იანგარიშეთ გერმანიის მცხოვრებთა რაოდენობა სულ დიდი 70 მილონი სულია, თუმცა თვითონ გერმანელები 65-ზე ზეიით არ ანგარიშობენ; თქვენ სულზე მაინც კიდევ მიიღებთ 26,33 ფუთზე მეტს წლიურს მოსავალს მის დამიუხედავათ გერმანიამ „უახლოვს წლებში შეზიდა ყოველ წლიურად უცხოეთის ხორბალი, რომლის რაოდენობა უდრიდა 10 პროც. საკუთარ მოსავლისას. მე ვგონებ ასეთი ფაქტის დამარწმუნებელი უნდა იყვეს ჩემი ოპონენტისათვის. (მე არ ვანგარიშობ კართოფილის მოსავალს გერმანიაში, რომელიც უდრიდა იმავე წელს 54,1 მილიონ ტონს, რასაც ხალხის გამოკვებიეთვის ფალრესი მეშვნელობა აქვს ibid) ცნობილია, რომ გერმანიაში ხალხის საკვებ მასალათ უფრო მეტი ხორცი იხმარებოდა ვიდრე კონტინენტის სხვა ქვეყნებში.

*) იხ. ფონ-ბიულოვ დოიჩ პოლიტ. სტატ ცნობები.

სტამბა „ცხოვრება“ ალან კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 4.